ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 24
(11 890)

1 – 4 აპრილი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- ᲣᲨᲑᲐᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

- „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲗᲐᲕᲒᲐᲪᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔᲐ
- 1989 Წ: ᲯᲐᲜᲧᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

- ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ 15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

- „ᲠᲔᲜᲝ" „ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ" ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

- ᲛᲠᲑᲝᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲫᲔᲜᲙᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲔᲑᲘ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ
- ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲡ!



ბატონო თენგიზ,

საქართველოში მოგვიმრავლდა იუბილეები და თქვენც იმათ შორის ბრძანდებით, ვის მოღვაწეობასაც ღირსეულად აფასებს ჩვენი ხალხი. მოგილოცავთ სპორტის დეპარტამენტისა და პირადად ჩემი სახელით დაბადებიდან 80 წლისთავს. მთელი თქვენი შემოქმედება გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული დაკავშირებულია ქართული სპორტთან, კერძოდ, ჭადრაკთან. ამ ბრძნულ თამაშს თქვენ ემსახურეთ, როგორც მოჭადრაკე, საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი. ფაქტობრივად, თქვენ შექმენით ქართული ჭადრაკის მატიანე, უდიდესი წვლილი მიგიძღვით სპორტის ამ სახეობის პროპაგანდაში და იმ საერთო წარმატებებში, რასაც ჩვენმა მოჭადრაკეებმა, განსაკუთრებით ქალებმა მიაღწიეს მსოფლიოს სჭადრაკო სარბიელზე.

გვეამაყება, რომ კვლავ მხნედ დგახართ თქვენი საყვარელი საქმის სამსახურში, აგრძელებთ შემოქმედებით მოღვაწეობას.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

საუკეთესო სურვილებით

დავით ნამგალაური,
საქართველოს სპორტის

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ქართული ჭადრაკის მემატიანეს, ცნობილ საჭადრაკო მიმომხილველს, საჭადრაკო თემაზე ათეულობით წიგნის ავტორს, სეოკ-ის პრემიის ლაურეატს **თენგიზ გიორგაძეს.**

X X X

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ამავე აკადემიის მასწავლებელს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, გამოჩენილ საჭადრაკო მოღვაწეს **თენგიზ გიორგაძეს.**

X X X

„ლელო" უერთდება თავისი ვეტერანი თანამშრომლისადმი ამ მილოცვებს.

X X X

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და „ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავენ საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯომარეს **იროდი ბეჟაშვილს.**

X X X

საქართველოში ჭადრაკის განვითარებასა და პროპაგანდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის და დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით, ცნობილი საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი **თენგიზ გიორგაძე** დაჯილდოვდა **საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სიგელით.**

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ დაიბადა 1925 წლის 1 აპრილს. საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი. საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი (1976) საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1981). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (2002). დაამთავრა თსუ (1952). თბილისის ჩემპიონი (1953), ეროვნული ოსტატი (1994), საერთაშორისო არბიტრი (1972), სსრკ საპატიო მსაჯი (1985), მსაჯობდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებს (1994, 1996, 1998), 1948 წლიდან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, გაზეთ „ლელოს" ჭადრაკის განყოფილების გამგე (1950-1984), საჭადრაკო გაზეთ „მერანის" პირველი რედაქტორი (1984-1987). ყოველთვიურ ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს" მთავარი რედაქტორი (1997-2000), საქტელეჭადრაკის ჟურნალ „სამორინეს" წამყვანი და ავტორი (1968-1996), საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნალისტთა ასოციაციის (აიპს) წევრი (1980 წლიდან), საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ჭადრაკის სპეციალიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1977) და პედაგოგი. პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2004). გამოცემული აქვს 40-ზე მეტი წიგნი, მათ შორის „ქართული ჭადრაკის მატიანე" (სამტომეული, 1995, 1997, 2000), მონოგრაფიები: „თამაშობს ანდრია დადიანი" (1972), „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა" (1985), „ჩვენი ნონა" (1992), „ჭადრაკის ანბანი" (1965, 1974, 1983, 1999), 10 წიგნი, მიძღვნილი ქართველ ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩებში მონაწილეობისადმი (1963-1989) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), არის საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის (1999) და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (2002) პრემიების ლაურეატი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში საზეიმოდ აღინიშნა თ. გიორგაძის დაბადებიდან 80 წლისთავი. იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა აკადემიის კათედრის გამგემ გ. კახიძემ. იუბილარს მიესალმნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დ. ჩიტაშვილი, პროფესორები ჯ. ზალდასტანიშვილი, გ. ძაგანია, ი. დოლიძე, შ. ბუაძე, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია, ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი დ. გურგენიძე.

თ. გიორგაძემ შეკრებილთ მადლობა გადაუხადა მილოცვისა და მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

ᲛᲘᲨᲔᲚ ᲞᲚᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელის, დღეს კი საფეხბურთო ჩინოსნის **მიშელ პლატინის** ორდღიანი ვიზიტი შეხვედრებით დახუნძლული გამოდგა. ვიზიტის პირველ დღეს პლატინი საქართველოს პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს** შეხვდა. ფრანგი სტუმარი პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს **სალომე ზურაბიშვილს** ზოგადად ფეხბურთზე, უეფასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ესაუბრა. ამჯერად ეს იყო სააკაშვილისა და პლატინის მეორე შეხვედრა, პირველად, ისინი ერთმანეთს ქვეყნის პრეზიდენტის შარშანდელი პარიზული ვიზიტისას გაეცნენ. პლატინის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტს ფეხბურთი უყვარს და მის განვითარებას შეუწყობს ხელს. „ქვეყანამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ფეხბურთის განვითარებაში, შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა და ეს პროგრამა რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოქმედდეს." - თქვა სტუმარმა. შემდეგ პლატინი და სფფ-ს პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** მცხეთაში **ელგუჯა ბუბუტეიშვილს** ეწვივნენ და ისადილეს. იქ იყვნენ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტები: **ალექსანდრე ჩივაძე, რომან შოთაძე, რევაზ არველაძე.** პლატინი დაესწრო საქართველო-თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს. გუშინ კი მოინახულა ჩვენი ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა და პრესკონფერენციაც გამართა. სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, ასეთი საფეხბურთო მოღვაწის ვიზიტი მნიშვნელოვანია და ფეხბურთის პოპულარობას უწყობს ხელს.

პლატინი ჟურნალისტებს გულთბილად მიესალმა და თქვა: „ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში. მომეწონა აქაურობა, ქართველები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ხართ".

სტუმარი თურქებთან მატჩსაც შეეხო. — „არასახარბიელო შედეგი ძლიერმა მეტოქეებმა განაპირობეს. ბერძნებს და თურქებს, დღეისათვის თქვენს ნაკრებზე უკეთესი გუნდი ჰყავთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ალენის და მერაბის ერთობლივი მუშაობა დადებით შედეგს მოგიტანთ. ქირესი ცდილობს ქართულ ფეხბურთს სიკეთე მოუტანოს. იგი კარგი მწვრთნელი და დიდი ფეხბურთელია. უეფას პრეზიდენტის არჩევნებს, რაც შეეხება, ვეცდები დავიცვა საფეხბურთო წესები და ჩემი სამოქმედო პროგრამა განვახორციელო"

— „შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს და ფეხბურთის განვითარების პერსპექტივებზე ვისაუბრეთ. მომავალ არჩევნებში მან წარმატებები მისურვა."

პრესკონფერენციის შემდეგ მიშელ პლატინი საწვრთნელი ბაზის ინფრასტრუქტურას გაეცნო, ჩამოარიგა ავტოგრაფები და ჟურნალისტებთან სამახსოვრო სურათები გადაიღო. მერე ეწვია საფეხბურთო სკოლებს. საღამოს გამგზავრებამდე კი შეხვდა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს **ბადრი პატარკაციშვილს.** დღეს, გამთენიისას მიშელ პლატინი სამშობლოში გაემგზავრა.

ᲠᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ?..

სამწუხაროდ, თურქებთან მატჩისას კვლავ უხეშად დაირღვა წესრიგი სტადიონზე – ტრიბუნიდან გულშემატკივრები ისროდნენ სხვადასხვა საგნებს, რაც ოფიციალურად დააფიქსირეს ფიფა-ს წარმომადგენელმა და მატჩის არბიტრმა. რა შეიძლება მოჰყვეს ბერძნებთან და თურქებთან მატჩის დროს გამოვლენილ მაყურებელთა სამარცხვინო საქციელს? ერთი რამ დანამდვილებით ვიცით, – კარგი არაფერი! შინ ამ ციკლში დაგვრჩა ჩასატარებელი ორი მატჩი – უკრაინელებთან და ყაზახებთან, ეს შეხვედრები ალბათ ჩატარდება ნეიტრალურ სტადიონზე, უკეთეს შემთხვევაში, შინ – უმაყურებლოდ. მაგრამ, რაც ყველაზე მტკივნეულია, აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს ევროპის ჩემპიონატის მომდევნო შესარჩევი ციკლის კიდევ ორ მატჩზე იგივე სავარაუდო სანქციით. ასე რომ, არ გაჭრა თხოვნამ და შეგონებამ. ამიტომ ნუ გვიკვირს, იმას მოვიმკით, რაც დავთესეთ...

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ

როგორც ვიუწყებოდით, პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს საქართველოდან, სახელგანთქმულ ვეტერან ფალავანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს და დამსახურებულ მწვრთნელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ, სპორტულმა ორგანიზაციებმა ღირსეულად აღნიშნეს დ. ციმაკურიძის იუბილე.

სურათზე — საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დ. ნამგალაური ულოცავს და აჯილდოებს იუბილარს.

ფოტო რ. ბაგო[illegible]ნისა

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

◆ **თბილისის სპორტის საქალაქო სამსახური** 25 წლის შემდეგ, წლეულს პირველად ატარებს დედაქალაქის უნივერსიადას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობით სპორტის 8 სახეობაში (თავისუფალი და ბ/რ ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, ცურვა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი). სასწავლებლები დაყოფილია სამ ჯგუფად. უნივერსიადა დღეს იწყება ქართული ჭიდაობით. „დინამოს" სტადიონის, ჭადრაკის სასახლის, დიღმის საცურაო აუზის ხელმძღვანელობამ მზადყოფნა გამოთქვეს უფასოდ დაუთმოს ბაზები მოასპარეზეებს.

◆ **საქართველოს სტუდენტური სპორტის ფედერაციამ** გუშინ, ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში საზეიმოდ დააჯილდოვა კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მეორე სპორტული თამაშების გამარჯვებულები და პრიზიორები. თამაშები ერთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა თბილისის სპორტულ ბაზებზე.

◆ **შეიქმნა სამენეჯერო კომპანია „გეოსპორტი",** რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ირაკლი მეძმარიაშვილი.** კომპანიის მიზანია მოარეგულიროს ურთიერთობები კლუბებსა და სპორტსმენებს შორის, გაუწიოს კონსულტაციები და იურიდიული მომსახურება სპორტსმენებს, მათ შორის კონტრაქტების გაფორმებაში, კლუბებს კომპანია დაეხმარება მარკეტინგისა და მენეჯმენტის ეფექტურად წარმოებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით 5 და 8 აპრილს და 6 და 10 მაისს, საკონფერენციო დარბაზში, 12 საათზე.

მისამართი ილ. ჭავჭავაძის, 49

დაწვრილებითი ინფორმაცია ინტერნეტში WWW. Sportacademy.ge

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ.

ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ



ბაქომ მეათედ უმასპინძლა კრივში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ანვარ ჩაუდრის პრიზის გათამაშებას, რომელშიაც 18 ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოდან, დაძაბული ორთაბრძოლების შედეგად, ტურნირის მეორე პრიზიორი გახდა ჩვენი ნაკრების წევრი, ჭიათურელი **ანატოლი ქავთარაძე** (75 კგ), მესამე ადგილზე გავიდა ქუთაისელი **კობა ფხაკაძე** (57).

საქართველოს ნაკრები აპრილის მესამე დეკადის დასაწყისში სტამბულში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ჩვენები გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიო პირველობისათვის, რომელიც ნოემბერში ჩინეთში გაიმართება. ტურნირებში მონაწილეობა საქართველოს რჩეულ მოკრივეთა მსოფლიო პირველობისთვის მზადების პროგრამაში შედის.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ „ᲚᲔᲚᲝᲡ"

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მაინტერესებს ევროპიდან რამდენი გუნდი ხვდება ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და რა წესით?

ᲒᲘᲐ ᲡᲐᲜᲝᲫᲔ, თბილისი

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: როგორც ცნობილია, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გუნდები 8 ჯგუფშია განაწილებული. გუნდი, რომელიც ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, განაღდებული ექნება ფინალური ეტაპის საგზური, ასევე ფინალურ საგზურს მოიპოვებს კიდევ ის ორი გუნდი, რომლებსაც საუკეთესო შედეგი ექნებათ მეორეადგილოსანთა შორის. ჯგუფებიდან დანარჩენი მეორეადგილოსნები კი ცალკე გაითამაშებენ სამ დარჩენილ საგზურს. ამ 13 გუნდს, რომლებიც მსოფლიოს პირველობის დასკვნით ეტაპზე იასპარეზებენ, ევროპიდან კიდევ ერთი, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი, გერმანიის ნაკრები დაემატება.

ᲓᲐᲠᲩᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲢᲣᲠᲘ, ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲝᲠᲘᲐ...



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საქართველოს 62-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ცნობილია, რომ ამ შეჯიბრებაში ჩემპიონატის 5 საგზური თამაშდება შვეიცარიული სისტემით. 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულა აქვთ **თამარ წერეთელსა** და **ინგა ჭარხალაშვილს.** შემდეგ 3,5-3,5 ქულით მოდიან **სოფიკო ტყეშელაშვილი, სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილი, მაკა ფურცელაძე, ნინო ბაციაშვილი, სოფიო გვეტაძე, მირანდა მიქაძე, სოფიკო ტერელაძე** და **სოფიკო ნიკოლაძე.** დღეს მეექვსე ტურია.

პროფესორ – მასწავლებელთა ხსოვნისა



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის ყოფილი პროფესორ-მასწავლებლების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ შეჯიბრებაში ამჯერად თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სპორტული სკოლების, აგრეთვე, ქუთაისის, ბორჯომის, გარდაბნის, ვანის, ახმეტის, დუშეთის, ყაზბეგის 115-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, რაც ორჯერ აღემატებოდა შარშანდელს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

ქალები: 60 მ: 1. ანა ონიაშვილი — 7,9 წ (სპ. აკად. თბ.), 2. გვანცა ჯოჯუა — 8,2 (სპ. აკად. მცხეთა), 3. გვანცა გოგოლაძე — 8,5 (თბ.); **100 მ:** 1. ანა აკოპოვა — 31,9 (თბ.), 2. ნატო შველიძე — 32,0 (სპ. აკად. გარდაბანი), 3. გვანცა გოგოლაძე — 32,2 (თბ.); **800 მ:** 1. ლიკა დვალიშვილი — 2.34,5 (თბ.), 2. გიული დეკანიძე — 2.46,9 (ვანი), 3. ანა არტამონოვა — 2.49,5 (ახმ.); **3000 მ.** 1. ქეთევან აბრამიძე — 10.48,1 (თსუ, ვანი), 2. გიული დეკანიძე — 11.20,0 (ვანი), 3. ნათია გელაშვილი — 11.47,9 (ბორჯ.); **სიგრძე.** 1. გვანცა ჯოჯუა 477 სმ. (სპ. კად. მცხ.), 2. ანა უთიაშვილი — 445, (სპ. აკად. ახმ.), 3. მაია გოგოლაძე 430 (თბ.). **სიმაღლე.** 1. ლიკა დვალიშვილი — 1,40, 2. თამრიკო მაისურაძე — 1,25, 3. მაია გოგოლაძე — 1,25 (სამივე — თბ.). **ბირთვი:** 1.ნინო ელიზბარაშვილი 12,72 (თსუ, თბ.), 2. თამარ ჯაფარიძე — 10,04 (თბ), 3. თამუნა ციხელაშვილი — 10,03 (სპ. აკად.).

ვაჟები. 60 მ: 1. გოჩა ჩხაპელია — 7,1 (თსუ, ახმ.), 2. გიორგი ამირანაშვილი — 7,1 (თსუ. თბ.), 3. სოსო ჯანელიძე — 7,2 (სპ. აკად.); **200 მ:** 1. დავით ტაბეშიძე — 24,0, 2. ნიკა ივანოვი — 25,2 (ორივე — ქუთ.), 3. ირაკლი ბიბილური — 25,4 (გარდ); **800 მ:** 1. რამაზ ბექაური („მართვე", გარდ.) — 1.59,1, 2. მერაბ ქინიძე — 2.01,3 (თბ), 3. გიორგი შეკრულიძე — 2.03,0 (თსუ, დუშ.). **3000 მ:** 1. შეკრულიძე — 9.05,4, 2. ბექაური — 9.15,0, 3. მერაბ ქინიძე — 9.19,1 (თბ.); **სიგრძე:** 1. დავით ილარიანი — 675 (სპ. აკად), 2. ბოლესლავ სხირტლაძე 620 („მართვე, სპ. აკად), 3. ზურაბ გოგოჭური — 472 („მართვე", გარდ.); **სიმაღლე:** 1. ზურაბ გოგოჭური — 160 („მართვე" გარდ.); 2. თორნიკე კობახიძე — 155, 3. ბესო ხუსკივაძე — 145 (ორივე — „მართვე"); **ბირთვი:** 1. ბენიკ აბრამიანი — 16,17 („შევარ.") 2. გიორგი ბედოშვილი — 15,78 (თბ.), 3. დათო ხატიაშვილი — 11,63 (სპ. აკად.).

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, თუმცა, მოხდა არასასიამოვნო ფაქტიც. ერთმა გოგონამ ტრავმა მიიღო იმის გამო, რომ ვაკის მძლეოსნობის კომპლექსში სარბენი ბილიკები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ქრისტინა რურუა.

გამოვიდა ბაკურიანის საკრებულოს ყოველთვიური გაზეთი „ბაკურიანის" მე-3 ნომერი. შეგახსენებთ, რომ ეს არ არის წმინდაწყლის სპორტული გამოცემა, თუმცა, მის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა სპორტის ზამთრის სახეობებს, ბაკურიანის სპორტული ცხოვრების ისტორიას, აწმყოს და მომავლის პერსპექტივებს.

„ბაკურიანის" ამ ნომერში ვრცელი წერილი ეთმობა ზამთრის გაცილებისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ღონისძიებას, რომელიც ადგილობრივი სპონსორების შემწეობით ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცა.

„ჯაბა გელაშვილი დიდი სპორტის კარიბჭესთან" ამ სათაურით გაზეთი აქვეყნებს „ბაკურიანის" რედაქტორისა და „ლელოს" საკუთარი კორესპოდენტის **სოფიო ხეთაგაშვილის** ვრცელ ინტერვიუს 12 წლის **ჯაბა გელაშვილთან**, რომელმაც წლევანდელ სეზონში წარმატებით იასპარეზა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში, როგორც თანატოლთა, ისე თავისზე უფროსთა შორის. აქვე შეხვდებით გუდაურში გამართულ სხვადასხვა შეჯიბრებაში, მათ შორის „საქართველოს თასზე" ბაკურიანელთა წარმატებების ამსახველ ინფორმაციებს, საქართველოში საციგაო სპორტის პირველად ბაკურიანში დანერგვის ცნობას და ა.შ.

გაზეთი ფერადია და უხვადაა ილუსტრირებული.

როგორც რედაქტორმა გვითხრა, მომავალი ნომრიდან „ბაკურიანი" მხოლოდ შავთეთრი გამოცემა იქნება.

ამჯერად, მესამედ...

მონაწილეებს დ. ნამგალაური მიესალმა

დიღმის მასივში, ოლიმპიური მზადების ცენტრში, გაიმართა საქართველოში კიოკუშინკაი კარატეს ფუძემდებლისა და კარატეს სასპორტო სკოლა „ორბი"-ს (დღეს ეს სკოლა მისი სახელობისაა) დამაარსებლის **გურამ ბარაბაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინკაი კარატეში ბავშვთა და მოზარდთა შორის. ორგანიზატორები იყვნენ: მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი **გ. უდესიანი**), „ორბი" (დირექტორი **ს. ბაიაშვილი**), კიოკუშინკაი კარატედოს საქართველოს ფედერაცია (პრეზიდენტი **ა. ჩუბინიძე**) და ოიამა კარატეს საქართველოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **დ. მოდებაძე**).

მონაწილეობდნენ „ორბი"-სა და კიოკუშინკაი კარატეს კლუბების ბავშვთა ნაკრები გუნდები. პირველად გვეწვიენ სტუმრები ყაზახეთიდან, იმედია, მომავალში მეტი ქვეყნების წარმომადგენლებს ვიხილავთ ამ ტრადიციულ მემორიალზე.

10-დან 17 წლის ჩათვლით 200-მდე მონაწილეს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დ. ნამგალაურმა**, საქართველოს სპორტის პროფკავშირების თავმჯდომარემ **ი. ბეჟაშვილმა**, სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ **ზ. დოლიძემ**.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ნიკა მახლაური, სერგო მოვსესიანი, ზურაბ ჭაბაშვილი, თემურ ნოზაძე, გიგა კობიაშვილი, იური ნაზაროვი, ანდრეი ზინჩენკო, სერგო ნაზაროვი, ხვთისო ბერიძე, მიხეილ დუმბაძე, გიორგი დევდარიანი, ედუარდ გერლიანი, **ვასიფ გულიევი**, მიხეილ წიკლაური და გივი კარკალაია.

ფოტო: რობერტ ბაგოიანისა.

უშბა
№1
აპრილი
2005
წელი
საქართველოს ალპური კლუბისა და „ლელოს" ერთობლივი პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი უშბაზე

უშბაზე ქართვე
მთამსვლელთა პირველ
ასვლის 70 წლისთავის გამ

ქართული ალპინიზმის განვითარების 80 წლის მანძილზე, ჩვენი მთამსვლელების მიერ კავკასიონზე მოპოვებული არაერთი ბრწყინვალე გამარჯვებიდან, ზოგიერთი განსაკუთრებულია, რადგან ისინი საეტაპო მნიშვნელობისაა და ლეგენდად დარჩა მთამსვლელობის ისტორიაში. ერთი ასეთთაგანი იყო, 1934 წელს, ქართველი მთამსვლელების პირველი ასვლა უშბაზე ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

უშბა, თავისი მრისხანებით, მიუდგომლობით, შვეული კედლებითა და დაკიდებული ყინვარდნილებით, მაგიური ძალით იზიდავდა მსოფლიოს ყოველი კუთხის გამოჩენილ მთამსვლელს. მასზე ასვლის ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ უშბის დამპყრობი მთამსვლელი მსოფლიოში სახელგანთქმული ინგლისის ალპიური კლუბის წევრი ხდებოდა.

უშბის დამორჩილების ცდის ისტორია, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, როცა, 1888 წელს, მწვერვალზე ასვლის ბედნიერება, პირველად, ინგლისელ კოკინს და შვეიცარიელ ალმერს ხვდათ წილად.

ამის შემდეგ, ოცი წლის განმავლობაში, ევროპის გამოჩენილმა ალპინისტებმა ორ ათეულზე მეტი ცდა მოახდინეს უშბის დასალაშქრად, მაგრამ უშედეგოდ. 1903 წელს, უშბაზე ავიდა გერმანელ მთამსვლელთა ჯგუფი ადოლფ შულცეს ხელმძღვანელობით. ორი კვირის შემდეგ, კვლავ გერმანელებმა – დისტელმა, პფანმა და ლაიხსმა მიაღწიეს წარმატებას.

ამ ასვლებმა, კიდევ უფრო პოპულარული გახადა უშბა. მას სხვადასხვა ქვეყნიდან სახელმოხვეჭილი მთამსვლელები მოაწყდნენ, მაგრამ უმეტესობა, მხოლოდ მისი ხილვით კმაყოფილდებოდა და ხელმოცარული უკან ბრუნდებოდა, ან სამუდამოდ რჩებოდა უშბის კალთების მუდმივ ყინულებში.

იმპერიალისტური ომებისა და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, უშბის ასაღებად შეწყვეტილი ბრძოლა, მხოლოდ 1929 წელს განახლდა. 16 აგვისტოს, შულცეს გზით, მწვერვალზე კვლავ გერმანელი მთამსვლელები ავიდნენ.

1933 წელს უშბას ისევ ესტუმრა უცხოელ ალპინისტთა ჯგუფი. ამჯერად, შვეიცარიელები, რომელთა შესანიშნავმა მომზადებამ უზრუნველყო მათი გამარჯვება. ასვლა, ამ შემთხვევაშიც, შულცეს გზით განხორციელდა.

ამით დამთავრდა უშბაზე ასვლის ისტორიის პირველი პერიოდი.

თითქმის 50 წლის მანძილზე, უშბის დაპყრობის რამდენიმე ათეული ცდიდან, რომელიც, ძირითადად, ევროპისა და ამერიკის გამოჩენილმა ალპინისტებმა ჩაატარეს, მხოლოდ ოთხი დამთავრდა სრული გამარჯვებით. და აი, დადგა დრო, როცა უშბის დამორჩილებისათვის ბრძოლაში, ქართველ მთამსვლელებსაც უნდა ეჩვენებინათ თავიანთი ძალა.

1934 წელს, ცნობილი ექიმისა და მთამსვლელის, შემდგომში სპორტის დამსახურებული ოსტატის სოსო ასლანიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა უშბის ექსპედიციის კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ყოველგვარი საორგანიზაციო საკითხის მოგვარება და ექსპედიციის შემადგენლობის შერჩევა.

„უშბის კომიტეტის" გადაწყვეტილებით, უშბის ექსპედიციის შემადგენლობაში შევიდნენ: ალიოშა ჯაფარიძე – ხელმძღვანელი, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ნიგურიანი, სანდრო გვალია, ლევან მარუაშვილი და მიქელ პატარიძე.

1934 წლის 20 აგვისტოს, ექსპედიცია სვანეთში ჩავიდა და სოფელ უშხვანარში, შემდგომში „უშბის დიასახლისად" ცნობილ მაკრინე ქურდიანის ოჯახში გაჩერდა (საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქედან დაწყებული, შემდგომ, ათეული წლების მანძილზე, ეს ოჯახი, უშბაზე მიმავალ მთამსვლელთა უცვლელი საყრდენი იყო – ი.ჯ.).

რამდენიმე დღის შესვენებისა და მომზადების შემდეგ, 27 აგვისტოს, ჯგუფი მზიდავების თანხლებით ძირითადი ბანაკიდან გავიდა. ექსპედიციას გამიზნული ჰქონდა საიერიშო ბანაკის მოწყობა 4000 მ. სიმაღლეზე; იმ ადგილას, სადაც 1930 წელს, თეთნულდზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, უშბის დაპყრობის ცდისას მიაღწია ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფმა და უამინდობის გამო ღამე ათია. განზრახვის სისრულეში მოყვანას, თითქმის, აღარაფერი უშლიდა ხელს და ცოტა ხნის შემდეგ ჯგუფი მიაღწევდა დანიშნულ ადგილს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად; მწვერვალზე ასვლის სიძნელეებით შეშინებულმა გამყოლებმა ბარგი დაყარეს და კატეგორიული უარი განაცხადეს გზის გაგრძელებაზე. მორალური ზეგავლენის ყველა მეთოდი უსუსური აღმოჩნდა მათ დასაყოლიებლად. ბარგის დატოვება არ შეიძლებოდა. ნავთის, სპირტის, პრიმუსის, კარვისა და სხვა აუცილებელი ნივთების გარეშე გაყინვაა მოსალოდნელი. გამოსავალი არ იყო. მზიდავების როლი ალიოშამ და სანდრო გვალიამ იკისრეს. ჯგუფმა ფრთხილად გადაიარა გზის ურთულესი მონაკვეთი და 4000 მეტრზე საიერიშო ბანაკი გამართა.

30 აგვისტოს დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მწვერვალის დასაპყრობად. მოიერიშე ჯგუფში ოთხნი იყვნენ: და–ძმა ჯაფარიძეები, მოხევე იაგორ კაზალიკაშვილი და სვანი გიო ნიგურიანი. მცირე ხნის სიარულის შემდეგ, მთამსვლელთა წინაშე ვერტიკალური კედელი აღიმართა. გზა არ ჩანდა. ალიოშა და გიო, თითქმის 4 საათის განმავლობაში, თავგანწირვით ცდილობდნენ ზევით ასვლას, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. გაჩნდა პირველი ეჭვი, რომ ისინი მწვერვალს ვერ მიაღწევდნენ. გიოში გაიღვიძა საუკუნეების მანძილზე სვანეთში გაბატონებულმა ცრუ რწმენამ უშბის მიუდგომლობისა და მის წვერზე ავი სულების არსებობის შესახებ. დაქანცულები და უსიამოვნო ფიქრებით აღელვებულნი, დამარცხებულთა მძიმე განცდით დაბრუნდნენ ისინი იმ ადგილზე, სადაც მათ ალექსანდრა ელოდებოდა. ალექსანდრას არ მოეწონა მათ მიერ მოტანილი ამბავი, მაგრამ გამარჯვების იმედი დაკარგული არ ჰქონდა. – "თქვენს ცდაში, მე ქვემოდან ვათვალიერებდი ადგილს ამ კედლის თავზე და მგონია, იქ არის ზევით წასვლის შესაძლებლობაო" – გაამხნევა მეგობრები და მიუთითა კედლის ქიმზე, რომლის ქვეშაც თვითონ იმყოფებოდა. უფსკრულზე გადმოზნექილი კედლის სიმაღლე დაახლოებით სამი მეტრი იყო. მრავალი ცდის შემდეგ, ალიოშამ ბეჭი შეუდგა გიოს და მიეხმარა ზევით ასულიყო. ალექსანდრას ვარაუდი გამართლდა. გზა მოინახა.

მწვერვალამდე 200–მდე მეტრი რჩებოდა, დაღლილებს ღამემ მოუხერხებელ ადგილზე მოუსწრო. აქ ერთი ადამიანი თუ გაათევდა, ისიც ნახევრად დამჯდარი. ისინი კი ოთხნი იყვნენ. აუცილებელი გახდა 200 მეტრით ქვევით დაშვება. შეწუხდნენ. ენანებოდათ ტანჯვით გავლილი მანძილის დაკარგვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. გადაწყდა უკან დაბრუნება. მხოლოდ, ალექსანდრა არ აპირებდა წასვლას. მას გამოცდილება კარნახობდა, რომ ამ კრიტიკულ მომენტში, მცირე დაბრკოლებამ შესაძლოა ხელი ააღებინოს განზრახვაზე მის თანამგზავრებს. ალიოშამ მყისვე იგრძნო დის განზრახვა და დათანხმდა დარჩენილიყო. ამით და–ძმამ უკან დასახევი გზა მოჭრეს. მათ უკვე იცოდნენ, რომ დილით ვერც ერთი თანამგზავრი ველარ იტყოდა უარს ასვლაზე, რადგან ზემოთ ქალი დატოვეს.

ალიოშამ თოკი კლდეზე დაამაგრა, ალექსანდრამ საიმედოდ ჩაიბა და ნაბადში გამოხვეულმა, მშვიდობიანი ღამე უსურვა თანამგზავრ მამაკაცებს. დარჩა ალექსანდრა უშბა და ღამეს შუა კედელზე დაკიდებუ და ფიქრებს მიეცა. ცოტა ხნის შემდ ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ და მ თვალწინ საოცარი სანახაობა გადაიშა საქართველოს რადიოს "ოქროს ფონდში დღემდე ინახება ალექსანდრა ჯაფარიძ იმდღევანდელი მოგონების ჩანაწერ რომელსაც ახლა გთავაზობთ:

– "ჩანდა ყველა მწვერვალი. თითქ ხელს გავიწვდიდი და იალბუზის შეხება ვიგრძნობდი. ღამე სულ სხვაგვარ ბრწყინავდნენ ბროლის კოშკივით ამ თული ყინულოვანი ქედები. ზევით უშ იყო და მე უკვე ვიცოდი, რომ ხვალ, ხ ყველანი მწვერვალზე ავიდოდით გაცოცხლდებოდა სიმონის ოცნება. ასვლაც მის ხსოვნას ეძღვნებოდ მხოლოდ აქ, ამ უფსკრულებში გებად ნამდვილი პატივისცემის გრძნობა ი მიმართ, ვინც პირველმა შებედა უშბა ვინც ავიდა ან იფიქრა მასზე ასვლ მეორე დღეს, მართლაც ავედით მწვე ვალზე. დღის სამი საათი იყო და ნი ლის გამო დიდხანს შევრჩით იქ. შემდ კი, როცა სრულიად დაღამდა და მო წმინდა, ავანთეთ ბენგალის ცეცხლ საოცარი გრძნობა დაგვეუფლა, რ სოფლებში საპასუხო კოცონები დაინთ იცი, რომ დაბლიდან, სადაც ყველაფე ძვირფასია და საყვარელი, თვალს გად ნებენ, ფიქრობენ, წუხან და შენ, მის შორს ასულს, საშინელ ხიფათში მყ გიხარია. ეს ფიქრი, გამხნევებს გათბობს. გინდა აჯობო ამ კლდეებ აჯობო შენს თავსაც. მაშინ თითქოს სხვ იქცევი და უფრო კარგი ხარ, უფრ ძლიერი".

მეორე დილით, ალიოშამ, იაგორ და გიომ სწრაფად აიარეს ის კედელ რომლის დაძლევასაც წინა დღით თითქმის ნახევარი დღე მოანდომეს ალექსანდრასთან ავიდნენ. ჯგუფმ ერთხანს დაუბრკოლებლად განაგრძ სვლა, მაგრამ ჩქარა ისევ ჩიხში მოექცნ წინა დღის მსგავსად, გამოუვალ მდგომარეობა შეიქნა, მაგრამ უბრ ძოლველად უკან დახევა არავის სურდ ყველა შესაძლებლობა მოისინჯა კედლის დასაძლევად. ხსნა აღარ იყო. უკა დააპირეს გამობრუნება. მაგრამ. . . ეს რ ხდება, გიო თავგანწირვის გაუგონარ ვარი ანტს ირჩევს. იგი ფეხზე იხდის და ფეხშიშველი ცდილობს ყინულის კ დელზე აცოცებას. მისი ცდა შედეგ აღწევს – შიშველი ფეხებით ყინულზ მაგრდება და რკინის პალოს ბზარში აჭედებს. მწვერვალისწინა უკანასკნელ ბარიერიც დაძლეულ იქნა. უკვე აღარავი ეპარებოდა ეჭვი გამარჯვებაში, თი თოეულის სიხარულს საზღვარი არ აქვს, მაგრამ ყველას ერიდება გამ ამჟღავნოს ეს სიხარული, ვიდრე მწვერ ვალზე არ ასულან. და აი, ნანატრ გამარჯვებაც. უშბის სამხრეთი მწვერვალ ქართველ მთამსვლელთა ოთხეულის ფეხქვეშაა. პირველი ასვლა უშბაზე წარმატებით დაგვირგვინდა და ამ გამარჯვების მისაღწევად თავგანწირვ სათვის, ალიოშა თავის მეგობრებს ჯილდოდ ნახევარ–ნახევარ ვაშლსა და კიტრს ურიგებს, რომელიც მწვერვალზე მათგან მალულად ამოიტანა.

დიდი ქვებისაგან აგებულ ნიშში უცხოელთა წერილების ნაცვლად, უშბის მწვერვალზე, პირველად დარჩა ლამაზ სათუთად ქართველ მთამსვლელთა ხელით დაწერილი პატარა ბარათი, ხოლო, როცა დაღამდა და ნისლი გაიფანტა, მწვერ ვალზე მოციმციმე ცეცხლი აინთო რამდენიმე წუთის შემდეგ, უშბაზე დანთებული ცეცხლის საპასუხოდ სვანეთის სოფლებში კოცონების ალ ავარდა, და როგორც მოხდენილად წერდ ალიოშა ჯაფარიძე: "ამ კოცონებში იწვოდა უკანასკნელი ნაშთები სვანების ცრუმორწმუნეობისა უშბის წვერზე ადამიანის ასვლის შეუძლებლობის შესახებ."

ამ ასვლით ქართველმა მთამსვ ლელებმა საერთაშორისო მნიშვნელობის წარმატება მოიპოვეს და საფუძველ ჩაუყარეს ახალ მიმართულებას მთამ სვლელობაში – ტექნიკურად რთულ მწვერვალების ათვისებას. ამ გამარჯვებით დაიწყო ქართველ მთამსვლელთა შემდგომი ბრწყინვალე მიღწევების უწყვეტი რიგი, რომელიც დღემდე წარმა ტებით გრძელდება.

ივანე ჯაფარიძე,
საქართველოს ალპური კლუბის
დირექტორი

ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები

ცვლილებები კლუბებში

სანაკრებო მატჩების შემდეგ ქართული ფეხბურთი ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდება. გათამაშების საპირისპირო პოლუსებზე მყოფი ორი გუნდი, თბილისის „დინამო“ და ბოლნისის „სიონი“ ტურნირს ახალი მეთაურების ხელმძღვანელობით გააგრძელებენ. დედაქალაქის „დინამოს“ საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების თავკაცი კახა ცხადაძე გაუძღვება. ახალი მწვრთნელი და მისი გუნდი პირველ გამოცდას აუტსაიდერ გორის „დილასთან“ მატჩში ჩააბარებს.

მანამდე, დღეს 11 საათზე „დინამოს“ მესვეურები ახალ მწვრთნელს ჟურნალისტებს წარუდგენენ და კლუბის პერსპექტივებზე ილაპარაკებენ.

ბოლნისელთა კლუბი კი მერაბ კოჭლაშვილს ჩააბარეს. შაბათს, XXVI ტურში „სიონისა“ და მისი ახალი მწვრთნელის გამომცდელი მადაზე მოსული „ზესტაფონი“ იქნება.

აკაკი დევაძე მძიმედ დაშავდა

საქართველოსა და თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩისას მეტოქესთან შეჯახებისას, ყბა-სახის მძიმე დაზიანება მიიღო ნაკრების მეკარემ აკაკი დევაძემ. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც, თითქმის ორი საათი გაგრძელდა. აკაკის ყბა აქვს მოტეხილი და ტრავმის მოშუშებას კარგა ხანი დასჭირდება. ამჟამად, იგი რეანიმაციაში იმყოფება. მკურნალობის კურსი სულ ცოტა ოთხი კვირა მაინც გაგრძელდება და ამ ხნის მანძილზე მისი მინდორზე გასვლა გამორიცხულია.

საქართველოს
XVI ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

ანონსი

უმაღლესი ლიგა, XXVI ტური
2 აპრილი, შაბათი

ლოკომოტივი — თბილისი
კოლხეთი — დინამო (ბთ)
ზესტაფონი — სიონი
დინამო (თბ) — დილა
ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მატჩები დაიწყება 16 საათზე.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
თბილისი	25	15	5	5	46-26	50
დინამო (თბ)	25	15	4	6	47-23	49
ტორპედო	25	13	8	4	39-20	47
ლოკომოტივი	25	10	11	4	33-20	41
ვიტ ჯორჯია	25	10	8	7	37-28	38
ზესტაფონი	25	11	3	11	25-38	36
დინამო (ბთ)	25	6	10	9	26-22	28
კოლხეთი	25	7	5	13	25-35	26
სიონი	25	6	3	16	21-48	21
დილა	25	2	3	20	16-55	9

ბომბარდირები

გ. მეგრელაძე (ტორპედო) — 17
ლ. მელქაძე (დინამო თბ) — 16.

საქართველო - თურქეთი

კატასტროფა

„არა, შეჯდა მწყური ხესა, არა იყო გვარი მისი“ — ეს ანდაზა ზედგამოჭრილია საქართველოს ეროვნული ნაკრებისათვის. ჩვენი ამბიცია გამარჯვების სურვილს ვერ გასცდა. სურვილი რაღაცის მიღწევისა თუ ოსტატობით არ არის გამაგრებული, ფუჭი, უსაგნო და უნაყოფოა. მარტი კი როგორი დანავსულიც იყო, ისეთად დარჩა ქართული ეროვნული გუნდისთვის. ბერძნების მიერ დაწყებული, მასპინძელთა ფუყე კედლის ნგრევა, თურქებმა დაასრულეს. ნორვეგიელი მსაჯის დასკვნითი სასტვენით დასრულდა ყოველგვარი ოცნება წინსვლისა და სამომავლოდ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისა. მცირე იმედი საპნის ბუშტივით გაქრა, ნაპერწკალი არ გაღვივდა, სულაც ჩაქრა და დაიფერფლა.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ბერძნებთან დამარცხების სინანული, თითქოს თურქებთან მატჩს უნდა გაებათილებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პირიქით, კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ის ხარვეზები, რომელიც წინა მატჩებში მეტნაკლებად, ერთი შეხედვით არ ჩანდა. შაბათის, მატჩის შემდეგ, მასპინძელთა ფრანგმა თავკაცმა შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადაახალისა, მაგრამ ცვლილებებმა არ გაამართლა. პირველ ტაიმში გავიბრძოლეთ, თუმცა, მიუტევებელი შეცდომების გამო, ერთი ბურთით მაინც ჩამოვრჩით მეტოქეს. მეორე ტაიმი კი სრულად სტუმრებისა იყო. თურქებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს მასპინძლები. ევროპის ჩემპიონებთან და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორთან ჩატარებულმა მატჩებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველი ჭეშმარიტება, ფეხბურთი ლოგიკური სპორტია და ძალიან იშვიათად ჩნდება საფეხბურთო ცისქვეშეთში მხოლოდ ყისმათით ფონს გასული გუნდი. ღლევანდელმა ელიტარულმა გუნდებმა კი ჩვენს ნაკრებს უკვე მერამდენედ მიუჩინეს კუთვნილი ადგილი. ასეულის მიღმა მყოფმა გუნდმა სულ რაღაც ოთხ დღეში ყველა შანსი ქარს და წვიმას გაატანა. ხარვეზები ვახსენეთ და მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ აშკარად მეტია მათი გამოსწორების დროზე. არასტაბილურია მეკარეთა თამაში, აშკარად სუსტია დაცვის რგოლი, ნახევარდაცვა მოწყვეტილია თავდასხმას, ფორვარდებს უჭირთ რაიმე ხეირიანი შეტევის განვითარება და, მით უმეტეს, გოლის გატანა. მოიკოჭლებს ნაკრები ფსიქოლოგიურადაც. აღარ არის ლიდერი, რომელიც გუნდს გაუძღვება მძიმე წუთებში, მოსაგებად განაწყობს და თამაშს შემოატრიალებს. ნათქვამიდან გამომდინარე, აღარც ზემოთ ხსენებული მინუსების პლუსებად გარდაქმნის დრო გვრჩება. ერთგვარად, შექმნილმა ვითარებამ დააბნია ნაკრების ფრანგი მესაჭეც, რომელიც გამოსავლის ძიებაშია და ჯერ ვერ უპოვია. ზედიზედ ორმა წაგებამ ნაკრების წინსვლა შესამჩნევად შეაფერხა და, ფაქტობრივად, ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა მიუწვდომელმა შორეთმა შთანთქა. ალენ ჟირესს, არც არჩეულმა სტრატეგიამ, არც შერჩეულმა ტაქტიკამ, არც ლეგიონმა გაუმართლა. უმთავრეს მატჩებს ნაკრები დემორალიზებული, გაუმართავი და აუწყობელი შეხვდა. შედეგი შესაბამისი, სავალალო და კატასტროფულია. ორი მატჩი, ნოლი ქულა, რვა გაშვებული გოლი და მხოლოდ სამი გატანილი, ასეთი უიმედო „მონაგრით“ დავასრულეთ ოთხდღიანი სანაკრებო მატჩები. შესარჩევ მატჩებში ახლა ორი თვე შესვენებაა და სულის მოთქმის საშუალება ჩვენც გვექნება. თუმცა, წინგაჭრილ მეტოქეებს, ალბათ ვეღარ დავეწევით.

მიმომხილველი

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

თბილისი. 30 მარტი. მ. მესხის სახელობის სტადიონი 20.000 მაყურებელი

საქართველო — თურქეთი 2-5

საქართველო: დევაძე (ლომაია 19), მჟავანაძე, ხიზანეიშვილი (სალუქვაძე 21), კალაძე, ამისულაშვილი, ცქიტიშვილი (ბურდული 76), ასათიანი, გოგუა, კობიაშვილი, იაშვილი, აშვეთია.

თურქეთი: რუშთუ, თოლგა, ტორომანი, ემრე, უმითი, ფ. ტეკე (ჰალილ ალტინტოპი 89), ბაშთურქი (ჰუსეინი 46), ჰამიტ ალტინტოპი, ავჩი, კარადენიზი, ატეში (თუნჯაი 64).

გოლები: 0-1 თოლგა (12), 1-1 ამისულაშვილი (13), 1-2, 1-3 ტეკე (19,35), 2-3 იაშვილი (40), 2-4 ავჩი (74), 2-5 თუნჯაი (90).

გააფრთხილეს: გოგუა (11,82), ავჩი (28), თოლგა (30), რუშტუ (40).

გააძევეს: გოგუა (82).

მსაჯები: ტ. ჰაუგე, ა. სანდეტი, ს. ჰოლვიკი, ტ. სკიერვენი (ყველა — ნორვეგია).

ფიფას დელეგატები: პ. ალაია (ფინეთი), ვ — საინი (სლოვენია).

ეროვნული ნაკრებები

უკრაინა — დანია 1-0
საბერძნეთი — ალბანეთი 2-0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
უკრაინა	7	5	2	0	12-3	17
საბერძნეთი	7	4	2	1	12-6	14
თურქეთი	7	3	3	1	13-7	12
დანია	7	2	3	2	10-7	9
ალბანეთი	7	2	0	5	3-11	6
საქართველო	6	1	2	3	8-13	5
ყაზახეთი	5	0	0	5	2-13	0

თურქებმა - იოლად მოგვიგეთო

ქართულ — თურქულ ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში, სწრაფმა გოლმა, სამწუხაროდ, სტუმართა წისქვილზე დაასხა წყალი. თურქებთან მატჩს ჩვენი ახალგაზრდული გუნდი პრობლემებით შეხვდა. მინდორზე გამოსულ ოთხ ფეხბურთელს მიკრო ტრავმები აწუხებდათ. ამის გამო ვერ ითამაშა სანდრო გურულმა, ჯაბა კანკავა დისკვალიფიცირებული იყო. თუმცა, მასპინძლებმა შეხვედრა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და მეტოქეს თავიდანვე შეუტიეს. აშკარა საგოლე მომენტი არ გვქონია, მაგრამ ინიციატივა ჩვენს მხარეს იყო. გოლს სტუმართა კარში ველოდით, მაგრამ საკუთარში მივიღეთ. თურქების, თითქმის პირველივე კონტრიერიში გოლით დასრულდა. გოხანმა მასპინძელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა, ბობლიაშვილის პირისპირ დარჩა და შანსიც გამოიყენა. გაშვებული გოლის მიუხედავად, ქართველები შეტევებს განაგრძობდნენ. მეტოქის კარს დაემუქრნენ: ღვინიანიძე, იაშვილი, ბესარაშვილი. 30-ე წუთზე თურქები გოლსაც გადაურჩნენ. მათმა მეკარემ პირველ ჯერზე ბურთი ვერ დაიმორჩილა, ხელიდან გაუვარდა, მაგრამ შესაშური რეაქცია გამოავლინა და ბურთს ზედ კარის ხაზზე დაეუფლა. თურქები, რომლებიც მასპინძლებზე ერთი-ორი წლით დიდები იყვნენ, თავიანთ ასაკობრივ უპირატესობას კარგად იყენებდნენ. ტაიმი, ისე გასრულდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა შეტევები განაგრძეს, მაგრამ ტერიტორიული უპირატესობა გოლებში ვერ გარდასახეს. კარგი შანსი ჰქონდათ ხოჯავას და ჭელიძეს, მაგრამ მათი შეტევა მეკარემ გაანეიტრალა. გიორგი ჭელიძეს ტაიმის ბოლოს, კიდევ შეეძლო სტუმართა დამწუხრება. თურქების მეკარეს ჯერ თავით დაურტყა, დამატებაზე კი ბურთი კარს ააცილა. მანამდე, სტუმრებმა ერთხელაც შემოგვიტიეს და თოფუზმა შორიდან მეორე გოლი გაუტანა ბობლიაშვილს. რომელმაც ნაკრებში პირველი მატჩი ჩაატარა. თურქები ქართველებზე ძლიერები აღმოჩნდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ორ შინაურ მატჩში ახალგაზრდულმა ნაკრებმა, მხოლოდ ქულის აღება შეძლო და გათამაშების ცხრილში ბოლოს წინა მეექვსე ადგილზეა.

პრესკონფერენციაზე თურქული გუნდის თავკაცმა რაშიტ ჩეტინერმა დაუფარავად განაცხადა, რომ მის ნაკრებს მოგება არ გასჭირვებია და სტრატეგიულ მატჩში დასახულ სტრატეგიულ მიზანს მიაღწია. მასპინძელთა მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ ხაზი გაუსვა მცველთა შეცდომებს, ვიბრძოლეთ, მაგრამ უკეთეს გუნდთან ჭიდილში დავმარცხდით და გუნდში ჯერ კიდევ დასახვეწი ბევრია.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი. თბილისი. 29 მარტი

საქართველო — თურქეთი 0-2
ახალგაზრდული ნაკრებები
მ. მესხის სახელობის სტადიონი
5.000 მაყურებელი

საქართველო: ბობლიაშვილი, ჭილლაძე, ციმაკურიძე, ჩიკვილაძე, ელიავა, ბესარაშვილი, ღვინიანიძე, გეწაძე (მარცვალაძე 70), გ. ნოდარის ძე ჭელიძე (ებანოიძე 84), ხოჯავა (გ. ნუგზარის ძე ჭელიძე 84), ს. იაშვილი.

თურქეთი: ფევზი, იავფუნი, ფანრი, ალი (ემრე 37), მუჰამედი, მაჰმუთი, თოფუზი, ადემი, გოხანი, საბრი (კერემი 85), იბრაჰიმი (უმუთი 77).

გოლები: 0-1 გოხანი (7), 0-2 თოფუზი (73).

გააფრთხილეს: ციმაკურიძე (15), გეწაძე (65), იავფუნი (88).

გააძევეს: მარცვალაძე (75).

მსაჯები: კ. კოსტადინოვი, დ. ბეიალტზალიევი, ვ. გავრილოვი, რ. მირიანოვი (ყველა ბულგარეთი).

უეფას დელეგატი. ვ. საინი (სლოვენია).

ახალგაზრდული ნაკრებები
უკრაინა — დანია 0-1
საბერძნეთი — ალბანეთი2-0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დანია	7	6	1	0	17-7	19
თურქეთი	7	4	2	1	10-3	14
საბერძნეთი	7	3	2	2	11-5	11
უკრაინა	7	3	1	3	11-6	10
ალბანეთი	7	1	2	4	5-12	5
საქართველო	6	1	2	3	5-14	5
ყაზახეთი	5	0	0	5	1-13	0

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

პირველი ჯგუფი
ჰოლანდია 0-0 სომხეთი
მაკედონია 1-0 რუმინეთი

რუმინეთი	6	4	0	2	14-6	12
ჩეხეთი	5	3	2	0	13-3	11
ჰოლანდია	5	2	2	1	6-3	8
მაკედონია	5	2	1	2	8-9	7
სომხეთი	6	1	1	4	1-14	4
ფინეთი	5	1	0	4	2-9	3

მესამე ჯგუფი
ლატვია 2-1 ლუქსემბურგი
სლოვაკეთი 0-1 პორტუგალია
ესტონეთი 1-5 რუსეთი

პორტუგალია	5	5	0	0	14-2	15
რუსეთი	5	4	0	1	16-3	12
სლოვაკეთი	5	3	0	2	6-6	9
ლატვია	5	2	1	2	6-7	7
ესტონეთი	6	0	2	4	1-13	2
ლუქსემბურგი	6	0	1	5	3-15	1

მეოთხე ჯგუფი
ისრაელი 3-2 საფრანგეთი
შვეიცარია 3-0 კვიპროსი

ისრაელი	6	4	1	1	9-5	13
საფრანგეთი	5	3	1	1	6-4	10
შვეიცარია	4	2	2	0	9-4	8
ირლანდია	4	1	0	3	6-8	3
კვიპროსი	5	0	0	5	0-9	0

მეხუთე ჯგუფი
მოლდოვა 1-3 ნორვეგია
სლოვენია 1-4 ბელარუსი

იტალია	5	5	0	0	10-1	15
ნორვეგია	5	2	1	2	7-6	7
ბელარუსი	4	2	0	2	10-8	6
სლოვენია	5	1	2	2	3-8	5
მოლდოვა	5	1	1	3	4-7	4
შოტლანდია	4	0	2	2	1-5	2

მეექვსე ჯგუფი
ავსტრია 2-0 უელსი
ინგლისი 2-0 აზერბაიჯანი

ინგლისი	6	4	2	0	11-3	14
გერმანია	5	3	2	0	11-3	11
პოლონეთი	5	2	2	1	10-6	8
უელსი	6	2	1	3	4-10	7
ავსტრია	6	2	0	4	5-8	6
აზერბაიჯანი	6	0	1	5	0-11	1

მეშვიდე ჯგუფი
ბოსნია 2-0 ლიტვა
სერბეთი 1-0 ესპანეთი
სან-მარინო 0-4 ბელგია

ბელგია	5	4	1	0	15-3	13
სერბეთი	5	4	0	1	18-5	12
ესპანეთი	5	2	2	1	19-4	8
ლიტვა	5	2	1	2	5-7	7
ბოსნია	4	1	0	3	4-7	3
სან-მარინო	6	0	0	6	1-36	0

მერვე ჯგუფი
უნგრეთი 1-0 ბულგარეთი
ხორვატია 1-0 მალტა

ხორვატია	5	5	0	0	7-1	15
უნგრეთი	5	3	0	2	5-3	9
შვედეთი	5	3	0	2	6-7	9
ისლანდია	5	2	0	3	7-6	6
მალტა	5	1	0	4	2-6	3
ბულგარეთი	5	1	0	4	4-8	3

პირველი ლიგა, XX ტური

1 აპრილი, პარასკევი

გურია — საგარეჯო
კახეთი — ლოკომოტივი2
ამერი — ივერია
ცხინვალი — დინამო2 (თბ)
ოლიმპი — სპარტაკი
მილანი — მერანი-მალაროელი
რუსთავი — ვიტ ჯორჯია (მცხ)

2 აპრილი, შაბათი

ბორჯომი — ჩიხურა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ბორჯომი	19	16	1	2	52-21	49
ამერი	19	14	1	4	54-9	43
სპარტაკი	19	12	6	1	35-17	42
ვიტ ჯორ.(მცხ)	19	12	4	3	30-12	40
კახეთი	19	11	3	5	31-23	36
ცხინვალი	19	9	3	7	25-23	30
დინამო2 (თბ)	19	9	1	9	44-32	28
გურია	19	7	4	8	20-28	25
ჩიხურა	19	6	5	8	19-23	23
ივერია	19	6	5	8	17-26	23
ლოკომოტივი2	19	6	4	9	24-30	22
რუსთავი	19	5	3	11	23-32	18
მილანი-მერანი	19	5	2	12	23-35	17
ოლიმპი	19	4	4	11	19-33	16
საგარეჯო	19	3	5	11	17-42	14
მალაროელი	19	0	3	16	9-56	3

საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?

ჩვენ გავრისკეთ, ძალიან გავრისკეთ, როცა საბჭოთა მმართველობის ეპოქაში, ჯერ კიდევ 1989 წელს, ქართული ფეხბურთის საბჭოთა ფეხბურთიდან გამოყოფის საკითხი დავსვით. მერე ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა — დავიწყეთ დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. მას შემდეგ სრული 15 წელიწადი გავიდა. გთავაზობთ 1989 წელს „ლელოში“ გამოქვეყნებულ იმ სენსაციურ წერილს და დასკვნებს 15 წლის შემდეგ.

ვიცი, ბევრს ამ სათაურის წაკითხვაზე ელდა ეცემა მაინც ჩემი სათქმელი მინდა გაუწყოთ, დრომ მოიტანა და ყველაფერი პირდაპირ უნდა ითქვას. დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი კატასტროფის წინაშეა. ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქოს არაფერი ხდებოდეს. ეს ასე არ არის, ხოლო კვლავაც თუ ასე გაგრძელდა, უარესიც მოხდება. მაგალითების მოყვანა ძნელი როდია. შექმნილ გარემოებათა გამო აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდების ურთიერთობა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება სპორტულ ასპარეზობად ჩაითვალოს. „სპარტაკის“ ფანატებს, საკავშირო პრესის აღიარებით, იარაღისა და ბომბების ისეთი მარაგი ჩამოართვეს, შინაგან საქმეთა ჯარების დივიზიას ეყოფოდა, მათი საბრძოლო ლოზუნგებიც შავრაზმელების ლოზუნგებისგან არაფრით განსხვავდება. რაც ბევრგან სხვაგანაც შეიმჩნევა, ფეხბურთთან მას მეტად სუსტი კავშირი აქვს და ა.შ.

რა ხდება? რამ „გარდაქმნა“ ასიათასობით ადამიანი სტადიონებზე, ემოციათა ამ ეპიცენტრში?

შორიდან დავიწყოთ. დავიწყოთ იმით, რომ როგორც ასეთი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში — არასოდეს ჩატარებულა. ტარდებოდა და ახლაც ტარდება რუსეთის ჩემპიონატი (ანუ რუსეთის ღია ჩემპიონატი), მოკავშირე რესპუბლიკების გუნდების რეგულირებული რაოდენობით, ყველა ეს ჩემპიონატი შეძლებისდაგვარად პრიორიტეტს მოსკოვის გუნდებს ანიჭებდა, ბოლო ხანს — კიევის რუსეთის „დინამოს“, თუმცა უმცირესი შანსის გაჩენისას „სპარტაკს“ ეძლევა „მწვანე შუქი“.

სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატების „ჰარმონიის“ დამრღვევი მხოლოდ საქართველო იყო. ჯერ იყო და, ჩვენი პირველი გუნდი თავდაპირველად საერთოდ არ შეიტანეს დამფუძნებელი ჩემპიონატის სიაში, შემდეგი ჩემპიონატების და ტურნირების ისტორია კი მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისა და, პირველ ყოვლისა, ჩვენი გუნდის თითქმის გაუთავებელი დისკრიმინაცია გახლდათ. მაგალითებს აქ არ მოვიყვან (ტომების შედგენა შეიძლება!). განა სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი უნიჭიერესი ფეხბურთელები სსრკ ნაკრებში თითქმის ყველგან რუს სპორტსმენად ინათლებიან? ეს იმიტომ ხდება, რომ „არ არსებობს“ უცხოეთში არავისთვის საბჭოთა ნაკრები, არსებობს რუსეთის გუნდი.

იყო დრო, საქართველოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში წარმომადგენელიც არ ჰყავდა და ყველამ ვიცით, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში საბჭოთა საფეხბურთო ფედერაციიდან არავინ ახლდა ჩვენებს სტუმრად ჩატარებულ მატჩზე.

საკავშირო მანკიერებებმა, ცხადია, „საშინაოც“ შევს. ასე გაჩნდა ჯანსაღ ფესვებს მოკლებული რესპუბლიკური „ნაკრები“ — თბილისის „დინამო“ და სათანადო თეორიებიც იმის შესახებ, რომ ჩვენ, ქართველებს, თურმე სსრკ ჩემპიონატში (თუ გნებავთ, არცთუ სრულფასოვანში) მონაწილეობის მისაღებად არ შეგვიძლია რამდენიმე გუნდი დავაკომპლექტოთ და ვარჩინოთ. საკამათოა ახლაც გაბატონებული დოქტრინა იმის შესახებ, რომ თურმე საქართველოს ყველა გუნდის ვალია „გაუზარდოს“ თბილისის „დინამოს“ ვირტუოზები. განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ რაც უფრო მეტი იქნება ერთმანეთის მეტოქე ქართული კლუბები, მით უფრო დიდია შანსი ერთი სუპერკლუბის გაჩენისა (შემდგომი გადაკომპლექტებით, რასაკვირველია).

მაგრამ მთელი უბედურებაც ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატს არ ჰქონდა და არა აქვს არავითარი სპორტული სტიმული. გამარჯვებულის II ლიგაში გადასვლა არც მატერიალურად და არც სხვა პირობებით სახარბიელო არ არის.

აშკარაა, დღესდღეობით ერთადერთი სპორტული სტიმული ევროპული ტურნირები გახლავთ. საქართველოს და ნებისმიერი სხვა რესპუბლიკის გუნდები კი ამ ტურნირებში მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატში წარმატების შემთხვევაში მოხვდებიან... ხომ არ დადგა დრო რეგიონალური ან, უფრო გულახდილად ვთქვათ, რესპუბლიკური „ნორმალური“ ჩემპიონატის ლიდერები მივავლინოთ უეფა-ს ტურნირებზე? ვითომ მალტისა ან ისლანდიის კლუბებზე ნაკლებად ითამაშებენ „რესპუბლიკელი“ ფეხბურთელები ევროპაში?!

სტადიონებზე მაყურებელთა ფსიქოზიც ხომ წლების განმავლობაში დაგუბებულ და საჯაროობის პირობებში გამოხეთქილი ეროვნული ენერგიაა! აბა გავიხსენოთ ბოლო მატჩები: „დი-ნა-მო“!, „დი-ნა-მო“! შეცვალა „საქართველო“! „საქართველომ“! ბოლო სათასო მატჩზე კი ერთი დროშაც არ იყო თეთრ-ცისფერი. სამაგიეროდ უამრავი სამფერი ფრიალებდა.

ვიყოთ გულწრფელნი: უახლოეს წარსულში ეროვნული მეობის გამოვლენის ლამის ერთადერთ საშუალებას სპორტი წარმოადგენდა. ახლა სხვა დროა და თუ ქვეყნის ჩემპიონატების გათამაშება კვლავ ძველებურად გაგრძელდა, თუ 30-50-იანი წლების ატმოსფერო არ მოისპო, ადვილი მოსალოდნელია სტადიონების დაცარიელება. ან, რაც უარესია, „გლადიატორთა“ სარბიელად მისი გადაქცევა.... ჯერჯერობით კი უაზრო კოსმეტიკის გარდა არავითარი მოდერნიზაცია არ მომხდარა: რუსულ „დ“-ს ქართული „თბილისიც“ მიაწერეს დანაშაულთა მაისურზე. ეს არის და ეს. სხვათა შორის, ეს ბილინგვა ცოტა ხნის წინ აღიარებული სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრას მოაგონებს კაცს: „ფორმით ეროვნულს, შინაარსით კი სოციალისტურს“...

უმთავრესიც ვახსენოთ — დიდი ხანია გვჭირდება ეროვნული ნაკრები. ეს გუნდი კი ეროვნული ჩემპიონატის გარეშე არ (და ვერც) შეიქმნება! მხოლოდ ჩვენი ერის განსაკუთრებულ ნიჭიერებას უნდა ვუმადლოდეთ საოცარ მიღწევებს: 1956 და 1978 წლების სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონობას და 1981 წლის თასების თასს, მოპოვებულს ერთადერთი კლუბის ხარჯზე! და თუ ამ კლუბის კრიზისია, მეტი რომ არ ვთქვათ, ეს ბუნებრივია (პირიქით რომ მომხდარიყო, უფრო საკვირველი იქნებოდა) „დინამომ“ ეტყობა, თავისი მორალური (და სხვაგვარიც) პოტენციალი ამოწურა. ესეც არაა გასაკვირი, სხვა ქვეყნებს გადავხედოთ: სადღაა მრისხანე „ჩელსი“, „ჩეპელი“, „კოლო-კოლო“! სამაგიეროდ სხვები აღმოცენდნენ ეროვნულ ნიადაგზე. იქნებ განსაზღვრული დროის შემდეგ „ყოფილებმა“ კვლავაც აღიდგინონ ძველი დიდება, მაგრამ არსად არ არსებობს მუდმივმოქმედი ძლიერი კლუბი, არსებობს ეროვნული ფეხბურთი.

ქართული ფეხბურთი რომ არ მოკვდეს, მაყურებლისა და საზოგადოების ინტერესების დევალვაცია რომ არ მოხდეს, საჭიროა „ბაღის“ შექმნა. „ერის საფეხბურთო ცხოვრება ხეხილის ბაღს წააგავს: ერთი ხე ნაყოფს ისხამს, მეორე ხმება და ამოძირკვავენ, მესამის ნერგს ახარებენ. თუ ასე არა აქვს აწყობილი. საქმე გონიერ მებაღეს და იგი ერთი, თუნდაც ძლიერი და ნამყენი ჯიშის ხის ხარჯზე აპირებს ყოფნას, ადრე თუ გვიან, უბაღოდ დარჩება“.

ნუ დავივიწყებთ ბრაზილიელი აიმორე მორეირას ამ სიბრძნეს! მე ამას ის მინდა დავუმატო, რომ კარგ ხეხილს მებაღე მხოლოდ საკუთარ ბაღში მოიყვანს.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი: ეროვნული პროცესები სპორტში საყოველთაო კანონზომიერებაა (ხშირად ისინი პოლიტიკურ პროცესებსაც უსწრებენ წინ), რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო: ბასკეთი და კატალონია, უელსი და შოტლანდია, ჩეხია და მორავია, ვალონია და ჰოლანდია და უამრავი სხვა. სპორტს თავისი ეთნიკური საზღვრები აქვს. ეს შესანიშნავიცაა — ერთა მეტოქეობა სპორტულ ასპარეზზე, ხშირად ადმინისტრაციული დაყოფის ერთგვარ კორექტირებას ახდენს.

სულ ახლო მომავალში ბევრი გარდაქმნაა მოსალოდნელი. მოდით, სპორტსაც ნუ ჩამოვაშორებთ ამ პროცესს. უკუვაგდოთ „ტრაქტორებისა“ და „სტალინიცების“ ეპოქა და თუ დღეს მთელი სერიოზულობით მსჯელობენ საქართველოს სრულ თვითდაფინანსებაზე და ქართველი ჭაბუკების მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის თაობაზე, ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ და შევქმნათ კიდეც საკუთარი სუვერენული საფეხბურთო სამყარო, რომელშიც, ეჭვი არ მეპარება, უნიჭიერესი სპორტსმენები აღიზრდებიან.

აი, საქართველოს ასეთ პირველობის პირობებში გამოჩნდებიან საერთაშორისო ასპარეზზე ფეხბურთის ოსტატები და არა დღევანდელი საკავშირო თუ რესპუბლიკური უბადრუკი „გათამაშების“ შედეგად. ჩვენს მოძმე ერებთან კი შეჯიბრების უთუოდ უფრო დახვეწილ და დემოკრატიულ ფორმებს გამოვნახავთ.

ჩემი წერილი ეჭვგარეშეა, გარკვეულ რეზონანსს გამოიწვევს, რისი დიდი სურვილიც მაქვს: დროა უძრაობის ხანის „შეჯიბრებების“ ჭაობს დავაღწიოთ თავი. და ეს, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ სიკეთეს მოიტანს.

ალექსანდრე ჟღენტი
კინორეჟისორი
თბილისი.

„ლელო“. №107, 1989 წ.

თემის გაგრძელება

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის მე-15 წლისთავი

1990 წლის 30 მარტს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „იბერია“ (ყოფილი „დინამო“ — გ.ჩ.) და ფოთის „კოლხეთი“. ეს იყო დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი მატჩი. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე თითქმის ორი წლით ადრე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გამოვიდა რა საკავშირო ფეხბურთის ფედერაციიდან და, ბუნებრივია, უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და საკავშირო თასზე მონაწილეობაზე. ასეთი გადაწყვეტილება იმ დროს ძალზე დიდ რისკთან და სითამამესთან იყო დაკავშირებული. ამდაგვარი უკომპრომისო გადაწყვეტილების შემოქმედი, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ სულმნათი **ნოდარ ახალკაცი**, იმჟამინდელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

გვახსოვს რა აჟიოტაჟი და საყოველთაო მხარდაჭერა გამოიწვია ასეთმა გადაწყვეტილებამ. „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩების დროს ხშირად გაისმოდა ომახიანი შეძახილები: „ლელო, ლელო, საქართველო“...

დიახ, სწორედ იმ დღიდან დაიწყო საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოახლოების ათვლა.

ადრე მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით ოდითგანვე ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ სპორტი პოლიტიკისაგან გამიჯნულია, რომ იგი ყოველგვარი ზეგავლენისაგან დამოუკიდებელია და ა.შ. არადა, საბჭოთა იმპერიის ხანაში, როდესაც ყველაფერი გასაიდუმლოებული და ბურუსით იყო მოცული, ბევრი რამ უცნობი რჩებოდა და მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა, თუ რა ხდებოდა იმ დროს საფეხბურთო მინდვრებზე. ბევრს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ და რა პირობებში უხდებოდათ ქართველ ფეხბურთელებს გამოსვლა, განსაკუთრებით გასვლით თამაშებზე, როგორ დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდიდნენ ისინი თავიანთი „უფროსი ძმებისაგან“.

საბჭოთა კავშირში შექმნილი ძალზე რთული და დაძაბული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სრულიად სამართლიანი და დროული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარების შესახებ. იმ დროს ასეთი გადაწყვეტილება რეალურად გამოხატავდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნებასა და სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტისაკენ.

საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნისა და საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით, 1990 წლის 24 თებერვალს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „უმაღლეს ლიგაში — 14 გუნდი“, ვინმე ს. ტარანოვი აღნიშნავდა, რომ „... ესე იგი, სპორტი და პოლიტიკა კვლავ „ერთი მთელია?“, ე.ი. ისევ აღორძინდა პრინციპი, რომელიც დიდი ჯაფის შედეგად უარვყავით?“

ს. ტარანოვი ცრუობდა, რადგან სპორტი და პოლიტიკა, რაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, ყოველთვის ერთად იყო, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთი მთელი მხოლოდ მაშინაც არ არის, როდესაც სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძვლებზეა დამყარებული და მას განაგებენ დემოკრატიული მეთოდებით.

გვახსენდება, თუ როგორ გააბოროტა საკავშირო ფეხბურთის მესვეურები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ, რომლის საპასუხოდ მათ გაგვრიცხეს საკავშირო ფედერაციის წევრობიდან, თანაც იმჟამინდელი საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის **ვ. კოლოსკოვის** განმარტებით იმას ნიშნავდა, რომ იმ დღიდან საქართველოს გუნდებს არ ჰქონდათ უფლება შეხვედროდნენ არა მარტო საბჭოთა, არამედ, საზღვარგარეთის გუნდებს. ამასთან, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს მიმართ დაუშვა უხეში პოლიტიკური ჩარევა, რაც იმაში გამოიხატა, რომ დააკმაყოფილა სოხუმის „დინამოს“ „თხოვნა“ მონაწილეობა მიეღო საკავშირო ჩემპიონატში პირველი ლიგის გუნდებს შორის. იგივე ვ. კოლოსკოვის განმარტებით — საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წესდებით თითქოსდა ეს დასაშვები იყო, ბევრმა იცის, რომ შემდგომში სოხუმის „დინამომ“ ძალზე სავალალოდ დაამთავრა თავისი გამოსვლები საფეხბურთო მინდვრებზე, ის გაქრა ჰორიზონტიდან და „აღიგავა მიწისაგან პირისა“.

აი, როდის და როგორ დაიწყო რუსების მიერ აფხაზების მორიგი ანტიქართული განწყობისა და, შესაბამისად, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფის საკითხის დასმა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ფეხბურთისა და პოლიტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა — განცალკევება, რომ პოლიტიკური საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო პოლიტიკოსების ჩარევისა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო საფეხბურთო საკითხები — ფეხბურთის სპეციალისტებისა და თვით ფეხბურთელების მიერ. ასე რომ, პოლიტიკური ამბიციები, საერთოდ, შორს უნდა იყოს ფეხბურთისაგან.

ალბათ, ბევრს ახსოვს მაშინდელი დრო, როდესაც თბილისის „დინამო“ ოფიციალურ ან ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში და პრესტიჟულ ტურნირებში გამარჯვებული გამოდიოდა, საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მათ საბჭოთა ფეხბურთელებად ნათლავდა, ხოლო, პირიქით, დამარცხებისას კი მათ ქართველ ფეხბურთელებად აცხადებდა. ყოველივე ეს უფრო ზუსტად ასე გამოიყურებოდა: „გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა“ ან „ქართველი ფეხბურთელები დამარცხდნენ“.

რა რანგის ან მასშტაბის პირველობა უნდა ყოფილიყო, ქართველი ფეხბურთელების მიმართ ხშირად იყო არაობიექტური და ტენდენციური მსაჯობა, გამონაკლისი არც უხეში თამაში და შეურაცხმყოფელი შეძახილები იყო.

1989 წლის ბოლოს, ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას, **ვიქტორ პონედელნიკმა** თავისი სიმპათიები გამოხატა ლანჩხუთის „გურიის“ მიმართ. ამის საპასუხოდ ზოგიერთმა რუსმა შოვინისტმა ვ. პონედელნიკს ტენდენციურობა და მიკერძოება დააბრალა. ცილიც დასწამეს, — თითქოს მას ლანჩხუთში სახლი აუშენეს და ციტრუსების ბაღი აჩუქეს. სინამდვილეში კი, როგორც ეს თვით პონედელნიკის ნაამბობიდან გახდა ცნობილი, სამამულო ომის დროს პატარა ვიქტორი დედასთან ერთად ევაკუაციით თბილისში ჩამოუყვანიათ და აქ იზრდებოდა. ასე რომ, ვიქტორ პონედელნიკს კარგად ახსოვს ჩვენთან გატარებული ბავშვობა, სტუმართმოყვარე ქართველები, მათი პირდაპირობა, პატიოსნება და ინტერნაციონალიზმი.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ხოკეის“ 1989 წლის 17 სექტემბრის ნომერში შ. შაპოშნიკოვმა (ერთ დროს ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად მუშაობდა — **გ.ჩ.**) მიმოიხილავდა რა პირველი ლიგის ფეხბურთელთა სატურნირო მდგომარეობას, გააკეთა ყოვლად გაუმართლებელი და პროვოკაციული დასკვნა, რომ ლანჩხუთის „გურიის“ წარმატებებში თითქოს გარკვეულწილად დიდ როლს ასრულებდნენ ფეხბურთის გარეშემო მოღვაწე მეცენატები.

ჩვენ, ქართველებს, დიდი ხნის მანძილზე გვაჩვევდნენ და თავს გვახვევდნენ ასეთ ცინიკურ, ღვარძლიან და ყოვლად უსაფუძვლო გამოხდომებს. ყოველი წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშზე მრავალ გამაღიზიანებელ გამოსვლებს და ექსცესებს მიმართავდნენ, მაგრამ ყველაფერი ეს მოკლებული იყო კონკრეტულ ფაქტებს და არგუმენტებს...

საბჭოთა კავშირის სრულ დაშლამდე, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ, ფიფასთან წინასწარი შეთანხმებით, საქართველოს გუნდები დიდ სპორტს ჩამოაშორა. მეტიც, ისიც გააკეთეს, რომ თუ სხვა ქვეყნის გუნდები დააპირებდნენ ქართველ ფეხბურთელებთან ასპარეზობას, მათ მიმართ გამოიყენებდნენ ეკონომიკურ სანქციებს და ისინი დაიკარგებოდნენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეფს, ნოდარ ახალკაცს ოფიციალურად ბევრჯერ მიუმართავს უეფას და ფიფას ხელმძღვანელებისადმი, მაგრამ მათგან პასუხი ყოველთვის ერთნაირი შინაარსის იყო, რომ მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სტატუსი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობა და მისი გაწევრიანება საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციებში მხოლოდ მაშინ იქნება განხილული და დაკმაყოფილებული, როდესაც მსოფლიო სახელმწიფოები ოფიციალურად აღიარებენ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ უეფა და ფიფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თხოვნებს იგნორირებდნენ, ჩვენი გუნდები არა მარტო საკავშირო სარბიელს ჩამოშორდნენ, არამედ, აგრეთვე თითქმის ორი წელიწადი საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდნენ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ჩემპიონატში, რომლის ჩატარების სტრუქტურა თავიდანვე ევროპულ ყაიდაზე გარდაიქმნა, ჩამოყალიბდა პროფესიონალური კლუბები და, რაც მთავარია, საფეხბურთო ჩემპიონატი ორციკლიან — „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემაზე გადავიდა.

აქვე დავუმატებთ, რომ მალე უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ, მიბაძა რა საქართველოს, გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ჩვენგან განსხვავებით, მათი უეფაში და ფიფაში გაწევრიანებას ისიც აადვილებდა, რომ უკრაინა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო გაეროს წევრი, მისი დაარსების დღიდან. აი, რას ამბობდა იმჟამინდელი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ვიქტორ ბანიკოვი**: „ჩვენი პოზიცია ემყარება მხოლოდ და მხოლოდ კანონიერების საფუძველს, რომ იგი გამომდინარეობს კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციიდან. ეჭვი არაა, უკრაინული ფეხბურთი ახლა სწრაფი ნაბიჯებით, დამოუკიდებლად წავა უკეთესი მომავლისაკენ“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციების მაშინდელი გადაწყვეტილებები ძალზე ემსგავსება და მიესადაგება ამჟამინდელი „ვარდების რევოლუციის“ და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგებს...

ფეხბურთი იყო და არის სპორტის ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული სახეობა. სანამ გამარჯვებული გუნდის პატივსაცემად შესრულდება მისი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი და იფრიალებს სახელმწიფოს დროშა, ფეხბურთი ყოველთვის დარჩება დიდ პოლიტიკად.

ფეხბურთში გამარჯვებების მოსაპოვებლად შიშველი ენთუზიაზმი და მისწრაფება არ იკმარებს. საჭირო და აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოძებნოს რეზერვები და იზრუნოს ქართული ფეხბურთის (და არა მარტო ფეხბურთის) საყოველთაო განვითარებისა და ფეხბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. დღეს, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის“, უნდა ვიფიქროთ გრანდებთან სპორტულ პაექრობაში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობაზე.

სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ უნდა ვიფიქროთ...

გურამ ჩხიკვაძე.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სერბებმა ესპანელებს ლიდერობა არ დაუთმეს

გაიმართა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგი მატჩები.

ევროპის ზონის პირველ ჯგუფში ჰოლანდიის ნაკრებმა მორიგი მატჩი მოიგო, ამჯერად სომხეთის სუსტ გუნდთან — 2-0. ანგარიში მესამე წუთზე კასტელენმა გახსნა, შუა ტაიმში ვან ნისტელროიმ მეორედ აიღო სტუმართა კარი.

ჰოლანდიის ნაკრები: ვან დერ სარი, კროკამპი, ბუმა, მატოსენი, ვან ბრაინკჰორსტი, ვან ბოგელი, ლანდზაატი (ვან დერ ვაარტი, 50), კოკუ, კასტელენი (ბაბელი, 50), ვან ნისტელროი, კუიტი (ჰესელინკი, 81).

ჩეხმა ფეხბურთელებმა სტუმრად 4 უპასუხო გოლი გაუტანეს ანდორის გუნდს, რუმინელებმა კი ასევე სტუმრად 2-1 მოუგეს ბოსნიის ნაკრებს.

მესამე ჯგუფში რუსეთის ნაკრებმა ვერ შეძლო ესტონეთის გუნდის დამარცხება სტუმრად და მხოლოდ ფრეს დასჯერდა — 1-1.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა შეხვედრა სლოვაკეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის. ლატვიელებმა 4-0 გაანადგურეს ლუქსემბურგელები და ჯგუფში ლიდერებს წამოეწიენ.

მეოთხე ჯგუფში ფრედ 1-1 დასრულდა ისრაელი-საფრანგეთის მატჩი. თავდაპირველად ფრანგები დაწინაურდნენ ტრეზეგეს გოლის წყალობით, მაგრამ მატჩის მიწურულს ბადირიმ წონასწორობა აღადგინა.

საფრანგეთის ნაკრები: ბარტეზი, სანიოლი, ბუმსონგი, ქივე, გალა, ვიეირა, პედრეტი, დიარა, მალუდა, ვილტორი (დორასი, 90), ტრეზეგე.

შვეიცარიის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია კვიპროსის გუნდს. ამ ჯგუფში ოთხი გუნდი ინარჩუნებს შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსებს.

მეხუთე ჯგუფში უგოლოდ გაეყარნენ (0-0) მოლდოვასა და ნორვეგიის გუნდები. ასევე ფრედ — 1-1 დასრულდა შეხვედრა სლოვენიისა და ბელარუსის ნაკრებებს შორის.

მეექვსე ჯგუფში ინგლისელებს არ გასჭირვებიათ აზერბაიჯანელების დამარცხება — 2-0. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა ჯერარდმა. ათ წუთში კი დევიდ ბექჰემმა გამოიჩინა თავი.

ინგლისის ნაკრები: რობინსონი, გარი ნევილი, ფერდინანდი (კინგი, 77), ტერი, ეშლი კოული, ბექჰემი (დეფო, 84), ჯერარდი, ლამპარდი, ჯო კოული, ოუენი, რუნი (დაიერი, 77).

ამავე ჯგუფში პოლონელებმა 1-0 სძლიეს ჩრდილოეთ ირლანდიელებს, ხოლო ავსტრიელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს უელსის გუნდი.

მეშვიდე ჯგუფში გოლი არ გასულა ლიდერების — სერბებისა და ესპანელების შეხვედრაში. **ამ მატჩში ესპანეთის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** კასილიასი, პუიოლი (ხუანიტო, 46), აბლო იბანიესი, რამოსი, დელ ორნო, ხოაკინი, ჩავი, ალბელდა, დე ლა პენია (რაული, 46), ფერნანდო ტორესი, რეიესი (ანტონიო ლოპესი, 64).

ესპანელებიც და სერბებიც დაუმარცხებლად აგრძელებენ ასპარეზობას ჯგუფში, ისევე, როგორც ლიტვის გუნდი, რომელმაც ფრედ (1-1) დაასრულა შეხვედრა ბოსნიის გუნდთან. ბელგიელებმა კი დაგეგმილი სამი ქულა წაიღეს სან-მარინოდან (2-1).

მერვე ჯგუფში ხორვატებმა 3-0 მოუგეს მალტის გუნდს, ხოლო უნგრელებმა და ბულგარელებმა ფრედ ითამაშეს (1-1).

ტექნიკური შედეგები:

I ჯგუფი

ანდორა — ჩეხეთი 0-4

გოლები: 0-1 იანკულოვსკი (31-პენ), 0-2 ბაროში, (40), 0-3 ლოკვენცი (53) 0-4 როსიცკი (90-პენ)

მაკედონია —რუმინეთი 1-2

გოლები: 0-1 მიტეა (18), 1-1 მაზნოვი (31), 1-2 მიტეა (58)

ჰოლანდია — სომხეთი 2-0

გოლები: 1-0 კასტელენი (3), 2-0 ვან ნისტელროი (34)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	6	5	1	0	14-3	16
2. ჩეხეთი	6	5	0	1	14-5	15
3. რუმინეთი	7	4	1	2	12-8	13
4. ფინეთი	6	3	0	3	13-10	9
5. მაკედონია	7	1	2	4	7-9	5
6. სომხეთი	7	1	1	5	4-15	4
7. ანდორა	7	1	1	5	3-17	4

მომდევნო ტური: ჩეხეთი — ანდორა, სომხეთი — მაკედონია, ჰოლანდია — რუმინეთი.

III ჯგუფი

ესტონეთი — რუსეთი 1-1

გოლები: 0-1 არშავინი (18), 1-1 ტერეხოვი (64).

ლატვია — ლუქსემბურგი 4-0

გოლები: 1-0 ბლეიდელისი (34), 2-0 ლაიზანსი (38-პენ), 3-0 ვერპაკოვსკისი (72), 4-0 ვერპაკოვსკისი (90).

სლოვაკეთი — პორტუგალია 1-1

გოლები: 1-0 კარჰანი (8-პენ), 1-1 პოშტიგა (62).

1. პორტუგ.	6	4	2	0	21-4	14
2. სლოვაკეთი	6	4	2	0	18-5	14
3. რუსეთი	6	3	2	1	13-10	11
4. ლატვია	6	3	1	2	14-12	10
5. ესტონეთი	7	2	2	3	10-14	8
6. ლიხტენშტ.	6	1	1	4	9-16	4
7. ლუქსემბ.	7	0	0	7	4-28	0

მომდევნო ტური: ესტონეთი — ლიხტენშტაინი, პორტუგალია — სლოვაკეთი, რუსეთი — ლატვია.

IV ჯგუფი

შვეიცარია — კვიპროსი 1-0

გოლი: 1-0 ფრეი (88)

ისრაელი — საფრანგეთი 1-1

გოლები: 0-1 ტრეზეგე (50), 1-1 ბადირი (83)

1. საფრანგ.	6	2	4	0	5-1	10
2. ისრაელი	6	2	4	0	8-6	10
3. შვეიცარია	5	2	3	0	10-3	9
4. ირლანდია	5	2	3	0	7-2	9
5. კვიპროსი	6	0	1	5	4-12	1
6. ფარერები	4	0	1	3	2-12	1

მომდევნო ტური: ირლანდია — ისრაელი, ფარერები — შვეიცარია.

V ჯგუფი

მოლდოვა — ნორვეგია 0-0

სლოვენია — ბელარუსი 1-1

გოლები: 1-0 როდიჩი (44), 1-1 კუტუზოვი...

გოლები: 1-0 როდიჩი (44), 1-1 კულჩი (49)

1. იტალია	5	4	0	1	9-5	12
2. ნორვეგია	5	2	2	1	6-3	8
3. სლოვენია	5	2	2	1	5-4	8
4. ბელარუსი	4	1	2	1	9-6	5
5. შოტლანდ.	4	0	2	2	1-4	2
6. მოლდოვა	5	0	2	3	1-9	2

მომდევნო ტური: შოტლანდია — მოლდოვა, ბელარუსი — სლოვენია, ნორვეგია — იტალია.

VI ჯგუფი

პოლონეთი — ჩრ. ირლანდია 1-0

გოლი: 1-0 ქურავსკი (81)

ავსტრია — უელსი 1-0

გოლი: 1-0 აუფჰაუზერი (87)

ინგლისი — აზერბაიჯანი 2-0



გოლები: 1-0 ჯერარდი (51), 2-0 ბექჰემი (62)

1. ინგლისი	6	5	1	0	13-3	16
2. პოლონეთი	6	5	0	1	19-5	15
3. ავსტრია	6	3	2	1	11-8	11
4. ჩრდ.ირლ.	6	0	3	3	5-13	3
5. უელსი	6	0	2	4	5-11	2
6. აზერბაიჯ.	6	0	2	4	1-14	2

მომდევნო ტური: აზერბაიჯანი — პოლონეთი.

VII ჯგუფი

ბოსნია — ლიტვა 1-1

გოლები: 1-0 ბოლიჩი (21), 1-1 სტანკევიჩუსი (61)

სან-მარინო — ბელგია 1-2

გოლები: 0-1 სიმონსი (17 პენ), 1-1 სელვა (40), 1-2 ვან ბუიტენი (65)

სერბეთი — ესპანეთი 0-0

1. სერბეთი	5	3	1	0	10-0	11
2. ესპანეთი	5	2	3	0	8-1	9
3. ლიტვა	5	2	3	0	7-2	9
4. ბელგია	5	2	1	2	7-7	7
5. ბოსნია	4	0	3	1	3-6	3
6. სან-მარ.	6	0	0	6	1-20	0

მომდევნო ტური: სან-მარინო — ბოსნია, ესპანეთი — ლიტვა, სერბეთი — ბელგია.

VIII ჯგუფი

ხორვატია — მალტა 3-0

გოლები: 1-0 პრშო (24), 2-0 პრშო (36), 3-0 ტუდორი (80)

უნგრეთი — ბულგარეთი 1-1

გოლები: 0-1 სტილიან პეტროვი (52), 1-1 რაჯჩი (90).

1. ხორვატია	5	4	1	0	13-2	13
2. შვედეთი	5	4	0	1	17-2	12
3. ბულგარ.	5	2	2	1	10-8	8
4. უნგრეთი	5	2	1	2	6-9	7
5. ისლანდია	5	0	1	4	4-14	1
6. მალტა	5	0	1	4	1-16	1

მომდევნო ტური: შვედეთი - მალტა, ისლანდია — უნგრეთი, ბულგარეთი — ხორვატია.

* * *

გაიმართა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები სამხრეთ ამერიკის ზონაში. არგენტინის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ერნან კრესპოს ერთადერთი გოლის წყალობით 1-0 დაამარცხა კოლუმბიის ნაკრები. საინტერესოა, რომ 41-ე წუთიდან სტუმრები 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდნენ, — მსაჯმა მოედნიდან გააძევა ფაბიან ვარგასი.

პარაგვაის ნაკრებმა 2-1 სძლია ჩილეს გუნდს. ფრედ — 1-1 დასრულდა ურუგვაისა და ბრაზილიის ნაკრებთა შეხვედრა. ანგარიში ფორლანმა გახსნა 49-ე წუთზე, თუმცა, 65-ზე ემერსონმა წონასწორობა აღადგინა.

სატურნირო მდგომარეობა:

არგენტინა	10	6	3	1	18-10	21
ბრაზილია	10	4	5	1	17-10	17
ეკვადორი	10	5	1	4	15-12	16
ვენესუელა	11	4	2	5	14-15	14
პარაგვაი	10	3	4	3	9-11	13
ურუგვაი	9	3	3	3	11-15	12
კოლუმბია	9	2	5	2	6-5	11
ჩილე	10	2	4	4	7-9	10
პერუ	10	2	4	4	8-11	10
ბოლივია	11	3	1	7	11-18	10

2006 FIFA WORLD CUP
QUALIFIER

კარლოს ალბერტო პარეირა: „რობინიო — მაღალი დონის მოთამაშეა“

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა კარგად იცნობს მადრიდის „რეალს“, ვინაიდან ამ გუნდის ასპარეზობას მუდამ ყურადღებით ადევნებს თვალს, განსაკუთრებით ორი ბრაზილიელი ფეხბურთელის — რონალდოსა და რობერტო კარლოსის თამაშს. გთავაზობთ კარლოს ალბერტო პარეირას მიერ „სოკერისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***რას იტყვით მადრიდის „რეალზე“? ამ გუნდში ხომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი...***

— ეს გუნდი არ არის. საჭიროა დაბალანსებული შემადგენლობა, რათა მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობა საუკეთესოდ გამოვლინდეს.

◆ ***ვინ ითვლება დღეს საუკეთესო ბრაზილიელ ფეხბურთელად — რონალდინიო?***

— ძნელია საუკეთესოს დასახელება. რონალდინიოს ფეხბურთის თამაშის საკუთარი სტილი აქვს, თანაც, შესანიშნავი... არიან სხვა მოთამაშეებიც, მაგალითად, რონალდო, კაკა, რობინიო. მათაც ბრწყინვალე ტალანტი აქვთ. ერთი კია, რომ რონალდინიოს თავის კარიერაში საუკეთესო პერიოდი უდგას.

◆ ***უკანასკნელ პერიოდში თქვენ თავგამოდებით იცავთ რონალდოს...***

— რონალდო დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო მოთამაშეა. რონალდო ყოველთვის იქ ჩნდება მოედანზე, სადაც საჭიროა. ის საუკეთესო თავდამსხმელია მსოფლიოში, — ეს ჩემი აზრია და ყოველთვის ვუჭერ მხარს მას.

◆ ***ის მეტია, ვიდრე ფეხბურთელი?***

— დიახ. როცა მადრიდის „რეალი“ მწყობრშია, მაშინ რონალდოც მწყობრშია. როცა „სამეფო კლუბი“ მწყობრში არ არის, ამაში პირველი დამნაშავე რონალდოა... ასე ამბობენ, მაგრამ ეს სწორი არ არის, რადგან ყველაფერზე ერთი ფეხბურთელის დადანაშაულება არ შეიძლება.

◆ ***თქვენი აზრით, ამჟამად როგორ ფორმაშია რონალდო?***

— დღევანდელი მისი თამაში მაკმაყოფილებს. ჩემი აზრით, რონალდო დღეს კარგ ფიზიკურ ფორმაშია. ის მუშაობს წონის დაკლებაზე და დარწმუნებული ვარ, უფრო უკეთ ათამაშდება.

◆ ***რას იტყვით რობინიოზე?***

— ოთხი წლის წინ გვსურდა, რომ ის ნაკრებში მიგვეწვია, მაგრამ მოცდა გადავწყვიტეთ. რობინიოს ოლიმპიურ ნაკრებშიც არ უთამაშია, ისე მოხვდა ქვეყნის ძირითად გუნდში. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რობინიომ სერიოზული პროგრესი განიცადა, როგორც ფეხბურთელმა.

◆ ***რას გულისხმობთ პროგრესში?***

— პირველ რიგში, როგორც ადამიანს. ადრე რობინიო ბავშვივით იქცეოდა, სულ მხიარულობდა, ახლა კი, სერიოზული მოთამაშეა. მოედანზე ის მუდამ გოლის გატანისათვის იბრძვის. რობინიო ძალიან ტექნიკურია, ჭკვიანი... ის მალე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი გახდება. აქვს ისეთი თვისებები, რომ შესაძლოა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდეს.

◆ ***არის თუ არა რობინიო მზად ევროპაში გამოჩენისათვის?***

— ოთხი წლის წინ რომ დაესვათ ჩემთვის ეს შეკითხვა, უარყოფით პასუხს გავცემდი, ახლა კი თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იგი ევროპისათვის მზად არის...

◆ ***რას მისცემდა რობინიო მადრიდის „რეალს“?***

— შეუნარჩუნებდა მაღალ კლასს. რობინიოს „რეალში“ ვერ დაჩრდილავენ, რადგან მას გააჩნია ის, რაც სხვებს არა — ამბიცია. სხვა ფეხბურთელები ტიტულებით არიან დახუნძლულები, რობინიოს კი ყველაფერი წინ აქვს.

ატლანტიკის მარგალიტი

კრისტიან რონალდოში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 17,5 მილიონი ევრო გადაიხადა, რამაც პორტუგალიელი ფეხბურთელი ყველაზე „ძვირადღირებულ თინეიჯერად“ აქცია. ალექს ფერგიუსონი ახალგაზრდა რონალდოში დევიდ ბექჰემის შემცვლელს ეძებდა და შეიძლება ითქვას, იპოვა კიდეც. 19 წლის კრისტიან რონალდოს ადარებენ პორტუგალიის ნაკრების ლიდერსაც — ლუიშ ფიგუს.

წარმოშობით ქალაქ მადეირადან, რონალდომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოჩენის დღიდან მოკლე დროში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიმდინარე სეზონში, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ფერგიუსონის გუნდის წევრებს შორის. რონალდო ამართლებს ადრე სამშობლოში შერქმეულ მეტსახელს — „ატლანტიკის მარგალიტი“.

„როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, ან პორტუგალიის ნაკრების მაისურით ვთამაშობ, სულაც არ ვფიქრობ იმაზე, თუ რას ხედავენ ჩემში სპეციალისტები. ბექჰემიც და ფიგუც, რომლებსაც მე მადარებენ, მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. ბექჰემს დღესაც ალმერთებენ მანჩესტერში, ფიგუ კი ყოველთვის იქნება პორტუგალიური ფეხბურთის ლეგენდა. მე კი — მხოლოდ მე ვარ. თამაშის საკუთარი სტილი მაქვს. არასდროს ვცდილობ, მივბაძო ბექჰემს ანდა ფიგუს,“ — ამბობს კრისტიან რონალდო. მან უკვე მიაღწია იმ სიმაღლეებს, რაზედაც ბევრი ფეხბურთელი ოცნებობს. ითამაშა რა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი ინგლისის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში. დღეს რონალდო ძალიან განიცდის მარცხს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მილანთან“. „ სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, რომ ასე ნაადრევად გამოვეთიშებოდით ევროპის ამ პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს. მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩემი გუნდი მომავალში აუცილებლად მოიპოვებს ჩემპიონთა თასს, — განაცხადა პორტუგალიელმა, — ჩემი ოცნებაა, პორტუგალიის ნაკრებთან გავხდე მსოფლიო ჩემპიონი, მით უმეტეს, რომ გუნდს ხელმძღვანელობს მაღალი კლასის მწვრთნელი ლუის ფილიპე სკოლარი. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ პორტუგალიის ნაკრებში თამაშობენ დეკუ, მანიშე, რიკარდუ კარვალიუ. მერწმუნეთ, ფიგუსა და რუი კოშტას გარეშეც შეუძლია პორტუგალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. მართალია, შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბერძნებთან დავმარცხდით, მაგრამ სკოლარის სჯერა, რომ მისი გუნდი 2006 წლის გერმანიაში გაიმარჯვებს“.

35 მილიონი ფუნტი ანრისათვის

ესპანეთის საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ მზად არის, მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა სატრანსფერო სეზონი გაიხსნება, 35 მილიონი ფუნტი შესთავაზოს ლონდონის „არსენალს“ საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელის ტიერი ანრის სანაცვლოდ. ანრის შეძენით, კატალონიური კლუბი აპირებს, შექმნას ტრიო რონალდინიოს, სამუელ ეტო'ოსა და ფრანგი ლეგიონერის შემადგენლობით. საინტერესოა, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ანრის შეძენით დაინტერესებული იყო მადრიდის „რეალიც“, თუმცა, ფრანგმა ფეხბურთელმა არაერთხელ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ლონდონურ კლუბს არ მიატოვებს.

რაც შეეხება „ბარსელონას“, ამ გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ლონდონის „არსენალი“ მიმდინარე სეზონს ტიტულების მოპოვების გარეშე დაასრულებს, რაც ანრის გუნდიდან წასვლისკენ უბიძგებს.

ნბა



ორი წლის შემდეგ „ფლეი ოფში“...

ნბა-ს კლუბმა „სიეტლმა“ ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა „ფლეი ოფში“ თამაშის უფლება. რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ამ გუნდმა სტუმრად 3 ქულის სხვაობით — 102:99 დაამარცხა „მემფისი“. სტუმართა გუნდის შემადგენლობაში ბრწყინვალედ ითამაშეს რეი ალენმა, ჯეიმსმა და რიდნურმა. ალენისა და ჯეიმსის ანგარიშზე 22-22 ქულაა, რიდნურმა კი 15 ქულა დააგროვა და ამასთან ერთად 9 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

„ფლეი ოფში“ მოხვედრის შანსს ინარჩუნებს „ლეიკერსი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე 117:107 სძლია „ნიუ-იორკს“. კვლავ გაიბრწყინა კობი ბრაიანტმა, რომელმაც 32 ქულა დააგროვა, 6-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

შაკილ ო'ნილი კი „მაიამის“ დაეხმარა მორიგი გამარჯვების მოპოვებაში — გუნდმა „ტორონტოსთან“ 103:91 იმარჯვა. ო'ნილის მონაგარი ასეთია — 28 ქულა და ბურთის ფარიდან 9 მოხსნა. მას მხარი აუბა უეიდმა, რომელმაც 27 ქულა დააგროვა და 8 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

„კლივლენდმა“ 94:84 სძლია „კლიპერსს“. მასპინძელთა შემადგენლობაში ჯეიმსი გამოირჩეოდა — 22 ქულა.

გუშინ ნბა-ში კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა. აუტსაიდერი „შარლოტა“ 99:102 დამარცხდა „ჩიკაგოსთან“. „დეტროიტმა“ საკუთარ მოედანზე 99:82 მოუგო „საკრამენტოს“. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ჰემილტონი — 24 ქულა. ზაზა ფაჩულიას „მილუოკი“ 109:113 დამარცხდა „გოლდენ სტეიტთან“.

სხვა მატჩები: „სან ანტონიო“ — „სიეტლი“ 89:76, „ვაშინგტონი“ — „ატლანტა“ 102:99, „ორლანდო“ — „ტორონტო“ 108:96, „იუტა“ — „დენვერი“ 98:109, „ფინიქსი“ — „ფილადელფია“ 116:87.

ისევ ლავიოლეტი

აშშ-ის ჰოკეის ფედერაციამ დაასახელა იმ სპეციალისტთა ვინაობა, რომლებიც ქვეყნის ნაკრებს უხელმძღვანელებენ ავსტრიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე (ეს ტურნირი 30 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით ჩატარდება).

აშშ-ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს ნჰლ-ის კლუბ „კაროლინას“ თავკაცი პეტერ ლავიოლეტი. სხვათა შორის, ეს სპეციალისტი უკვე ხელმძღვანელობდა ამერიკელთა გუნდს მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე — მაშინ ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

ავსტრიაში ლავიოლეტის თანაშემწე იქნება ჯონ ტორტორელა, რომელმაც ნჰლ-ის 2003-2004 წლების სეზონში „ტამპა ბეის“ პირველად მოაპოვებინა სტენლის თასი.

ჩოგბურთის ვარსკვლავები გუნდურ ჩემპიონატში

4-24 ივლისს გაიმართება ჩოგბურთში გუნდური ჩემპიონატი — ე.წ. „ვტტ — ლიგა“, რომლის პირველ რაუნდში იასპარეზებენ სახელგანთქმული ჩოგბურთელები — ანა კურნიკოვა, მარია შარაპოვა, შტეფი გრაფი, ვინუს უილიამსი, ლინდსეი დევენპორტი და მარტინა ნავრატილოვა. ლიგის ფინალი 16-17 სექტემბერს საკრამენტოში შედგება.

ვაჟთა შორის, ჩემპიონატში ასპარეზობაზე თანხმობა განაცხადეს ჯონ მაკინროუმ და ბორის ბეკერმა.

ნჰლ-ში კარის ზომებს გაადიდებენ

8-9 აპრილს გაიმართება ნჰლ-ის ხელმძღვანელთა გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება თამაშის ახალი წესების შემოღების საკითხი. საუბარია კარის ზომის გადიდებაზე.

„სპეციალისტების აზრით, კარის ზომების გადიდებით, მატჩები უფრო უხვგოლიანი და მიმზიდველი გახდება“, — ამბობს ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტი კოლინ კემპბელი.

ტაკუმა სატო ბრუნდება

„ფორმულა 1“-ის გუნდ „ბარის“ პილოტი ტაკუმა სატო, რომელმაც სურდოს ვირუსის გამო მალაიზიის გრან-პრის გათამაშება გამოტოვა, კვლავ მწყობრშია და იასპარეზებს ბაჰრეინის გრან-პრის მოსაპოვებლად. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე — ავსტრალიაში სატომ მე-14 ადგილი დაიკავა.

დაარღვევს „რენო“ „ფერარის“ ჰეგემონიას?

„ფორმულა 1-ის ხელმძღვანელი ბერნი ეკლსტოუნი მიიჩნევს, რომ გუნდ „რენოს“ პილოტებს აქვთ შანსი, დაამხონ „ფერარის“ ჰეგემონია. „მე ვიმედოვნებ, რომ „რენოს“ პილოტები შეძლებენ გადაუსწრონ „ფერარის“. ჯერ გარკვეული არაფერია, მაგრამ ვგრძნობ, რომ „ფერარის“ ეპოქა დასასრულს უახლოვდება,“ — ამბობს ეკლსტოუნი. მისი აზრით, ბოლო წლებში „ფერარის“ ლიდერობა გამოწვეული იყო იმით, რომ სხვა გუნდები ცუდად მუშაობდნენ. „საბედნიეროდ, „ფერარის“ წამოეწივნენ „რენო“ და „მერსედესი“. ახლა ფიზიკელას ჯერია. სწორედ ეს პილოტი დაამარცხებს მიხაელ შუმახერს“, — აცხადებს ბერნი ეკლსტოუნი.

პირველად... ფერნანდო ალონსო

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად ბრიტანული ტოტალიზატორი „უილიამ ჰილი“ კარს მომდგარ ბაჰრეინის გრან პრის გათამაშებაზე „ფორმულა 1“-ში უპირატესობას მიხაელ შუმახერს არ ანიჭებს. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონზე მეტად ბუკმეკერებს ფერნანდო ალონსოსი სჯერათ.



საყურეებისა და ძეწკვების ტარება აუკრძალეს

„ფორმულა 1“-ის პილოტებს ამიერიდან ეკრძალებათ გრან პრის გათამაშებაში ასპარეზობის დროს ძეწკვებისა და საყურეების ტარება. ასეთი გადაწყვეტილება „ფორმულა 1“-ის ხელმძღვანელობამ პილოტების უსაფრთხოების მიზნით მიიღო.

ახალი წესი, შესაძლოა, არ მოეწონოს „ფერარის“ პილოტს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს, რომელიც მუდამ ატარებს წარმატების თილისმას, — ეს ნივთი მას მეუღლემ — კორინამ აჩუქა. „რედ ბულის“ პილოტები — კრისტიან კლიენი და ვიტანიო ლიუცი კი საყურეებს ატარებენ.

კუერტენი 4 აპრილს დაბრუნდება

ჩოგბურთში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი ტრავმით გამოწვეულ იძულებითი შესვენების შემდეგ 4 აპრილს უბრუნდება კორტს. სწორედ ამ დღეს ის ჩაებმება ვალენსიას საერთაშორისო ტურნირში.

„ახლა მე თავს ახალგაზრდად ვგრძნობ, რომელიც ეს-ესაა იწყებს კარიერას. დიდი მოტივაცია მაქვს, — ვითამაშო ჩოგბურთი. ვფიქრობ, აუცილებლად აღვიდგენ რამდენიმე წლის წინანდელ ფორმას,“ — განაცხადა 28 წლის კუერტენმა.

გუსტავო ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ წელს რამდენიმე ტურნირის მოგებას აპირებს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



1 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. მზე. „ავტოგრაფი“ — „დავით ყიფიანი“ (22.45); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.10); მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: სერბია და ჩერნოგორია — ესპანეთი (12.20), საქართველო — თურქეთი (14.30), უკრაინა — დანია (16.55); მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო“ — „არბატი“ (18.55), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.10), ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. იტალიის „ინტერი“ — პორტუგალიის „პორტუ“ (21.40) კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 5.30, 8.30, 9.00); *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი: „მასტერს სერიეს“ (11.25), „ატრ“-ის მიმოხილვა (17.00), „მასტერს სერიეს“ (19.30, 0.00), ჭადრაკი. შეჯიბრება ჩქარ ჭადრაკში დაფაზე დაუხედავად (17.30), ტაილანდური კრივი (18.00), წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება (21.45), „სპორტული გლობუსი“ (23.15); EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (14.00, 15.00); ჩოგბურთი. „ვტა“-ს ტურნირი (17.00); მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი (18.00), ძალოსნური სამჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. სამხრეთ აფრიკა (23.00); ყველაზე ძლიერი მამაკაცები. ჩემპიონთა თასი (0.00); ევროსპორტის ახალი ამბები (2.00); ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (2.15); *НТВ плюс online.* წყალში ხტომა. გრან-პრი. (11.25 — ვაჟები, 15.20 — ქალები).

2 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი 2. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20), **იმედი.** „ნბა“-ს ჟურნალი“ (16.30), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატები: „ბოლონია“ — „ინტერი“. პირდაპირი რეპორტაჟი (22.30 — I ტაიმი, 23.30 — II ტაიმი), „მილანი“ — „ბრეშა“ (I-II ტაიმი, ვიდეოჩანაწერი — 0.20); *НТВ.* „მსოფლიო კრივი“ (22.50); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.25, 19.20, 0.45); „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი“ (14.30); მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „დინამო“ — „არბატი“ (14.55); გერმანიის ჩემპიონატი (17.25); „დაწვრილებით“. 2006 წლის ჩემპიონატი (19.40 — უკრაინა — დანია), ინგლისის ჩემპიონატი: „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“. პირდაპირი (20.10), საფრანგეთის ჩემპიონატი. პირდაპირი (22.05), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი (23.55); კალათბურთი, ნბა (4.00, 4.30, 5.00, 7.30, 8.00). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ (10.25, 13.55); კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (18.30); ფიგურული ციგურაობა. ანდრეა ბოჩელის შოუ (21.25); წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება. ქალები, ვაჟები (22.20); „გუნდი“ — „დინამო“ (23.45); ბრძოლა წესების გარეშე. უძლიერესთა შერკინება (0.30); პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: უეინ ბრეიტუეიტი — ჟან-მარკ მორმეკი. პირდაპირი (5.00); EUROSPORT. ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (14.00); 24 საუკეთესო კლუბი (15.00); მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი (15.30, 16.30); ჩოგბურთი. „ვტა“-ს (21.00); კრივი. პროფესიონალები (22.30); ევროსპორტის ახალი ამბები (2.00); *НТВ плюс online..* წყალში ხტომა. გრან-პრი (11.25, 15.25).

3 აპრილი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფორმულა-1“. კლასიფიკაცია (11.30), „ფორმულა-1“. ბაჰრეინის დიდი პრიზი (18.00); **იმედი.** პროგრამა „ასი“ (16.30); **მზე.** ფეხბურთი: „ბარსელონა“ — „ბეტისი“ (19.00 — I ტაიმი, 20.00 — II ტაიმი); **რუსეთის I არხი.** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა — „ლოკომოტივი“ (16.00); კრივი. უძლიერეს პროფესიონალთა ბრძოლა: სერგეი ლიახოვიჩი — დომინიკ გუინი (0.00). *НТВ плюс футбол.* ინგლისის ჩემპიონატი. „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“ (10.15); თავისუფალი დარტყმა (12.00, 17.45, 20.15, 0.20); მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო“ — „არბატი“ (12.20); საფრანგეთის (13.30), ესპანეთის (15.10), იტალიის (16.50) ჩემპიონატები; „თავისუფალი დარტყმა“ (17.45, 20.15, 0.20); „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.55): გერმანიის ჩემპიონატი: „დორტმუნდის ბორუსია“ — „ჰერტა“. პირდაპირი (19.25); „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი“ (21.55); იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი (22.25); უკრაინის ჩემპიონატი (0.35); კალათბურთი. ნბა (13.00, 3.30, 4.00) ჩემპიონატის მატჩი. პირდაპირი 8.30 — 2001-2002 წლის ჩემპიონატის მატჩი. *НТВ плюс спорт.* სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი (11.00); „სპორტული გლობუსი“ (16.30); პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: უეინ ბრეიტუეიტი (17.00); ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“. ფინალი. პირდაპირი (19.55). წყალში ხტომა. გრან-პრი (23.00); ტაილანდური კრივი (0.15). EUROSPORT. სუპერსპორტი (6.00), სუპერბაიკი (7.00, 7.45, 8.30, 9.30, 10.15); მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი (13.00, 18.00). ველოსპორტი. საერთაშორისო შეჯიბრება. ფლანდრია (15.00); ყველაფერი სპორტზე (23.00); სუმო. ხაცუ ბაშო. იაპონიიდან (0.00); ევროსპორტის ახალი ამბები (1.00); *НТВ плюс online.* ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი (11.00); წყალში ხტომა. გრან-პრი. ვაჟები, ქალები (15.25); ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი: „ვესტ ბრომვიჩი“ — „ევერტონი“ (19.00); ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი (20.55); საფრანგეთის ჩემპიონატი. „მარსელი“ — პსჟ. პირდაპირი (22.55).

კროსვორდი

თარაზულად: 1. „მილანის“ მეკარე, 4. შეჯიბრება ველოსიპედებით, ავტომობილებით და ა.შ. 7. შუამარბი, ანუ... 10. შოტლანდიის საფეხბ. კლუბი, 11. ფირნიში, ანუ... 14. საავტომობილო ფირმა, 16. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 18. აჭარის საფეხბ. კლუბი, 20. ცურვის ყაიდა, 22. ლეგენდარული ეთიოპიელი მარათონელი, 25. ცნობილი იტალიელი ველომრბოლი, 26. წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის ნასტასეს სახელი, 27. წალენჯიხის საფეხბ. გუნდი, 28. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, 29. ნივთების ან ფულის გათამაშება.

შვეულად: 2. ერთ დროს თბილისის „დინამოს“ საფეხბ. კლუბის შეცვლილი სახელი, 3. ლეგენდარული იტალიელი სამთომეთხილამურე, 5. ბრაზილიის საფეხბ. კულბი, 6. ცნობილი კორეელი ჩოგბურთელი, 8. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 9. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი — მცველი, 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე, 12. უკრაინის ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, 13. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიზი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს აქვს მოპოვებული, 15. „ბორდოს“ ფეხბურთელი, 17. მოჭიდავეთა განთქმული რაიონი კახეთის რეგიონში, 19. იგივეა, რაც იახტანი, ხურჯინი... 21. ჭადრაკში სვლა ფიგურების მდგომარეობის შეცვლით, 23. საჭადრაკო ფიგურა, 24. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი.



მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. ათენი, 9. მეხიკო, 10. მაჩაბელი, 11. ფანდი, 14. მოგვერდი, 15. ონი, 16. „ფილა“, 21. არენა, 22. ულანუდე, 24. აზია, 26. თედიაშვილი, 29. ესებუა, 32. ბლაგიძე, 33. ოქმი, 34. შიდო, 35 ტრიალი.

შვეულად: 1. ამური, 2. ნიკე, 3. ლომიძე, 4. ობჩა, 5. ხობი, 6. ჰელსინკი, 8. ებანოიძე, 12. ირანი, 13. ჩოქბჯენი, 17. ბალავაძე, 19. ძალა, 20. ინოკი, 23. დანი, 25. კუდო, 26. თურქი, 27. შულცი, 28. ლეიბი, 30. სოკი, 31. გენი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოსკოვში გარდაიცვალა ამავე აკადემიის ბიომექანიკის კათედრის ყოფილი გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვეტერანი კალათბურთელი

ალექსანდრე არუცევი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

№23-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლg1! --- 2. ლd4X

1. ..... მფ:f4 2. მd4 X, 1. ..... კ:f4 2. ლa1 X, 1. ..... მ:f4 2. ლg7 X, 1. ..... კe3 2. ლ:e3 X, 1. ..... კb2 2. ლe3 X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com